


საორბული უზრნელი

სარბიელი



ირაკლი გამყრელიძე

3 ახალი სეზონის
მოლოდინი

სოლომონ გულისაშვილი

4 აღმოსავლეთის
ქეზარენი

ტუტა სინარულიძე

8 პოლონეთის
დაბრუნება

გიორგი დარჯაენი

10 უთავოლო
თავაშვი

პაპუნა კედი

12 1930

16 EURONEWS

სოლომონ გულისაშვილი

18 პერანაელები
კოჭი როე
არ ამოიგდონ

მამუკა კვანტალიანი

20 კუთხური

გიორგი დარჯაენი

22 ზოგი სხრა
რვაზე სოფა

დავით გულუა

26 ვიქოვის
დასასრული

14-15 გვერდი. ფრანკესკო ტოტი
(რომა, იტალია) REUTERS

I დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი,
საფრანგეთი) REUTERS

II მიხეილ ყაველაშვილისა და გეორგ
პოპესკუს ორთაბრძოლა რუმინეთისა
და საქართველოს შეხვედრაში

III რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა

IV ზემოზს „მანჩესტერ იუნაიტედის“
ჰოლანდიელი თავდამსხმელი რუუდ
ვან ნისტელროი REUTERS



საქართველოს ნაკრებმა მორიგე წარუმატებელი
შესარჩევო მატაჲ წარმატებით დასრულდა კოლო
საში უმეხვდრიდან ორში გაიმარჯვა, ხოლო ერთი
ფრედ ითამაშა. ეს ერთი ვახლდათ დამავკვირვინებელი
მატჩი გუქარესტში, რუეინეთთან.

და ვეველავერი თავიდან იწყება: იმედნასახული
ქართველი ქოვაგბი ინტერპრეტით ელის ვერო 2004-ის
კენჭისყრასა და შესარჩევ ციკლს.

დღეს ჩაკეტილი წრე გაიხსნას!

რედაქტორი ილიან ბაბუნაშვილი

რედაქტორის მოადგილე
სოსო კოტორეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
რუსუდან დარსაგელიძე

სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი

ოპერატორი ნინო ყუფუნია

მრჩეველთა საბჭო:

ვანტანგ ზნიკაძე, მამუკა გუბელაძე,
სოლომონ გულისაშვილი,
ავთანდილ გურასაშვილი,
ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

გვერდი სარგებლის დაბტება

რეკლამა ჟურნალ «სარგებელი» — 93 16 08



დორინელ მუნტაანუს (მარცხნივ) ალექსანდრე იაშვილთან ბრძოლა საკმაოდ გაუჭირდა

ახალი სეზონის მოლოდინები

ირაკლი გაყყალიძე

საქართველოს ნაკრებმა თავისი მორიგი წარუმატებელი ციკლი დაასრულა ბუქარესტში, რუმინეთის ნაკრებთან მატჩით.

შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. რუმინელებს სათავეში ედგა ახალგაშფორთხელებული გეორგე ჰაჯი, ქართველებს — დროებით დაბრუნებული ალექსანდრე ჩივაძე, რომლის ხელშიც გუნდი ზედიზედ მესამე ოფიციალურ თამაშს იგებდა, ბოლო წუთზე რომ არ გაეშვა... პოპეკუს თავური.

საქართველოს ნაკრებმა საშემოდგომო შეხვედრები კარგად ჩაატარა და ის რომ ტაიმების მიწურულს, ჩვეულებრივ, გოლს უშვებს ხოლმე, ამ შემთხვევაში სულაც არ არის გადაწყვეტი. ნაკრებმა გაგვახსენა, რომ თურმე თამაში შეუძლია, ამ გამარჯვებებმა მხოლოდ სამომავლო კალათებში მოგვცა უკეთესი ადგილი და თვისებრივად, ჩვენს ფეხბურთში გარდამტეხი არაფერი მოუხდენია.

რუმინეთში ნაკრებმა ისე ითამაშა, როგორც უნდოდა ითამაშოს ერთმა კარგმა საშუალო გუნდმა მატჩში, რომელიც არაფერს წყვეტს ტურნირისთვის, ამ გუნდისთვის კი წყვეტს იმას, რომ ხალხის თვალში წინა ორ შეხვედრაში დაბრუნებული საფეხბურთო ღირსება არ დაკარგოს.

რუმინეთის ნაკრებმა კი ისე ითამაშა, როგორც თამაშობენ გამობრძმედილი კარგი

გუნდები იმ შეხვედრაში, რომელიც მათთვის არაფრის შემცველია.



ამიტომ, თამაში საინტერესო გამოვიდა. თანაც, საქართველოს ნახევარდაცვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეუძლია მოძრაობა და მახვილგონიერი თამაში. ნახევარდაცვის ჩივაძისეული ვარიანტი თუ აგებულება ბევრად მსაუბუქი და მოქნილი გამოდგა, ვიდრე მისი წინამორბედი მწვრთნელებისა. იგივე ითქმის თავდამსხმელებზეც და, საერთოდ, გუნდის თამაშზეც. თუმცა, ეს მოქნილობა და სილაღე ჯერაც არ გადააზრდოლა ტაქტიკურ მოქნილობასა და იმგვარ კლასში, რომ თამაშის გადაწყვეტ მომენტებში მთელი ძალების კონ-

ცენტრაცია მოხდეს შედეგის მისაღწევად. მაგალითისათვის, რას მოუხერხებდა საქართველოს ნაკრები, ვთქვათ, ლიტვისაზე მაღალი კლასის გუნდს?

ანდა, რუმინეთ-საქართველოს მატჩის დარ თამაშში რატომ არ შეეძლო ჩვენს ნაკრებს ანგარიშის შენარჩუნება? ფსიქოლოგიურად ეს მოგება ძალიანაც წაგვადგებოდა.

ასე კი, გარკვეულწილად, ყველაფერი ტრადიციულ სურათს დაუკავშირდა.

თუმცა, არ იქნება, არ აღინიშნოს, ამ შემოდგომაზე საქართველოს ნაკრებმა დიდი სიხარული მოუტანა გულშემატკივრებს. სხვა საკითხია, რომ ეს სევდანარევი სიხარული იყო.

 <p>საქართველოს საფეხბურთო ფედერაცია 6 მატჩიანი. 30 მატჩიანი სტანდარტი 20 000 მატჩიანი</p>			
რუმინეთი 1:1 საქართველო			
<p>10 შ. არველაძე (35), 11 მათიუში (43), 21 ჯამარაული (50), 31 იაშვილი (64) საქართველო: გვარამაძე, სიხარული, რეზიაშვილი, კალაძე, კობიაშვილი, ციტიშვილი (სა- ჯაია 73), ნემსაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, ყაველაშვილი (იაშვილი 46), შ. არველაძე (დემეტრაძე 62) რუმინეთი: ალექსანდრე ჩივაძე უზბეკეთი: კორალი, დ. კორსოვი, პეტო, მათიუში, შებოკი, ჰალმაი (დარდაი 59), კაბატი, ლისტე- ში, ჰორვატი (ტოკოლი 62), ილეში (ლენდვაი 67), ა. კორსოვი რუმინეთი: ბერტალან ბიჩვი გაფრთხილება: პეტო (22), რეზიაშვილი (42) ა. კორსოვი (42), ლისტეში (56), ჰალმაი (58), რეზიაშვილი (65), დემეტრაძე (89) გამაჟივრებელი: რეზიაშვილი (65) მსაჯე: დ. კოში (სლოვენია)</p>			



ბერძნების კარში დევიდ ბექემის გატანილმა ამ საჯარიმომ ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა

ადმოსავლეთის ექსპრესი

სოლომონ გულისაფილი

შორეული ადმოსავლეთის მატარებელი დაიდრა. დაიდრა თავისი მგზავრებით და გამცილებლებით. ეგ არის, ამ ჯადოსნურ კილობანში ისევ ვერ მოიძებნა ადგილი ქართველებისთვის, თუმცა რაღა ქართველები, როცა კორეა-იაპონიაში პოლანდია ვერ მიდის. შესარჩევი ციკლის მთავარი მოულოდნელობაც ეს არის. უპოლანდო ჩემპიონატი, ცხადია, ბევრს დაკარგავს, „ნარინჯისფერები“ ხომ იმ იშვიათთა რიცხვში არიან, ლალი და შემტევი ფეხბურთის პატივისცემა ჯერაც რომ შემორჩენიათ. არადა, მეორე შესარჩევი ჯგუფის ფავორიტებად სწორედ ისინი

ითვლებოდნენ და არა მოდური პორტუგალია თუ მეომარი ირლანდია, მაგრამ უკვე მერამდენედ დამტკიცდა, რომ პროგნოზები ტყუილი ამბავია. მოკლედ, ვარსკვლავური შემადგენლობის მიუხედავად, ლუის ვან გაალის პოლანდია 1990 წლის შემდეგ პირველად არ იქნება ელიტაში. ვან გაალს დღეს ბევრი აკრიტიკებს, თუმცა „აი-აქსისა“ და „ბარსელონას“ ყოფილი მწვრთნელი მშვიდადაა და წასვლასაც არსად აპირებს: „კონტრაქტი 2004 წელს მიმთავრდება, შეთანხმებისამებრ, ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციას მისი გადასინჯვა მხოლოდ გაისად ზა-

ფულში შეუძლია. მანამდე კი მუშაობას ძველებურად გაავგრძელებთ“, — ამბობს ვან გაალი. შესარჩევი ეტაპის ყველაზე ხმაურიანი ჯგუფი მეცხრე იყო. აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა ინგლისი და გერმანია ერთად მოხვდნენ? მოხვდნენ და ქომაგებს ნამდვილი სერიალი შესთავაზეს. გერმანელებმა ჩინებულად დაიწყეს, ინგლისელებმა პირიქით, საზიზღრად. მერე უცებ ყველაფერი შეიცვალა, ინგლისმა თამაში თამაშზე მოიგო, 1 სექტემბერს კი სულაც სასწაული მოახდინა, როცა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ გერმანელები დაანგრია — 5:1. ბოლო ტური კი ნამდვილ თრილერს ჰგავდა. ბოლო წუ



თამდე ინგლისი შინ საბერძნეთთან 1:2 აგებდა. ამ შემთხვევაში გერმანელებს ფინეთთან ფრედ ჰყოფნდათ ჩემპიონატზე პირდაპირ მოსახვედრად, მაგრამ მესამე დამატებულ წუთზე დევიდ ბექემმა დიდებული საჯარიმო დაარტყა და გაათანაბრა.

გერმანიამ კი შინ ფინეთს ვერაფერი მოუხერხა და კიდევ ერთხელ შეტევა. ეგ კი არა და, პირველ ტაიმში სულაც ფინელები უკეთ თამაშობდნენ. შესვენების მერე მასპინძლებმა შეიტყვეს, რომ ინგლისი აგებდა და გააფთრებით შეუტეეს, მაგრამ შოტლანდიის „პართის“ მკარე ანტი ნიემი სასწაულებს

სჩადიოდა, ბირპოვის, ნოივილისა და ბალაკის ისეთი ბურთები აიღო ბუნდესმწვრთნელ რუდი ფიოლერს კინაღამ გული გაუსკდა.

„უნდა ვაღიაროთ, დღეს უკეთესი ფეხბურთელები არ გვყავს და ჩემპიონატზე რომც მოგვხვდეთ, იქ არაფრის იმედი უნდა გექონდეს“, — თქვა მერე ფრანც ბექენბაუერმა.

ინგლისი კი შვედმა სვენ გორან ერიკსონმა იხსნა, რომელიც ფეხბურთის სამშობლოს ნაკრების პირველი არაინგლისელი მწვრთნელია. არადა, როგორ არ უნდოდათ, — ვიღაც გადამთიელს ჩვენი ეროვნული



REUTERS

იუგოსლავია — სლოვენის შედეგმა მასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატის გზა დაუხისლა

კლავი ოფი

სლოვენია — რუმინეთი

ბელგია — ჩხეთი

უკრაინა — გერმანია

ავსტრია — თურქეთი

ირლანდია — ირანი

პირველი მატჩები 10-11, საპასუხოდ

15 ნოემბერს გაიმართება

ანდრე შევჩენკომ შესარჩევ ციკლში 9 გოლი გაიტანა



REUTERS

REUTERS




აბა, კორეა — იაპონია პორტუგალიის გარეშე რა იქნებოდა

გუნდი როგორ ვანდოთ, მაგრამ სწორედ ერიკსონი აღმოჩნდა ის კაცი, ვინც ინგლისს აწყობილი და მებრძოლი ნაკრები შეუქმნა. თანაც საინტერესოა, რომ ერიკსონის გუნდში მანჩესტერელებს ლიდერობა ლივერპულელებმა ჩამოართვეს, ჯერარდი, ოუენი და ჰესკი ის ხალხია, ვისზეც ბექემთან ერთად შესარჩევი მატჩების მთელმა სიძიძიმე გადაიარა.

ამ საკვალიფიკაციო ციკლის კიდევ ერთი თავისებურება აღმოსავლეთევროპული ნაკრებების მოძლიერებაა. 1986 წლის მერე ფინალურ ეტაპზე პირველად ითამაშებენ პოლონელები, ჩემპიონატზე მიდიან რუსებიც. ამით, შესაძლოა, უკრაინელებიც შეუერთდნენ. კარგი გუნდი ჰყავდათ ბელარუსებსაც, რომლებმაც პლეი ოფის საგზური ბოლო ტურში, უელსში დამარცხების გამო დააკარგეს: „ამოცანა ვერ შევასრულეთ, კორეა-იაპონიის საგზური ვერ მოვიპოვეთ, ამიტომ უფლება აღარ მაქვს, ნაკრებს ვუხელმძღვანელო. საწყენია, ეს ხომ პირველი მარცხი იყო ჩემს მწვრთნელო კარიერაში. მაგრამ რა გაეწყო, ვერავის ვერაფერს დავაბრალე, შედეგზე ყოველთვის მწვრთნელია პასუხისმგებელი“, — თქვა ბელარუსთა მწვრთნელმა ედუარდ მალიოფევმა და გადადგა. არადა, თვითკრიტიკის მიუხედავად, მართლაც ძლიერი ნაკრები შექმნა.

ახლა უკრაინელებზე ვთქვათ, რომლებიც უკვე მესამედ მოხვდნენ პლეი ოფში. ეს გუნდი ერთხელ ხორვატებთან დამარცხდა, მეორედ სლოვენასთან და აი, ახლა გერმანიას უნდა შეხვედეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა ახლახან განაცხა-

და, რომ ვალერი ლობანოვსკი მალე ნაკრების მწვრთნელი აღარ



REUTERS

იმედი... იმედგაცრუება... უიმედობა — თუმცა პოლანდიელთა მწვრთნელი ლუის ვან გაალი თანამდებობიდან გადადგომას მაინც არ აპირებს

როი კინმა იმ დროს ჯერ კიდევ თანაკლებელი, მანჩესტერელი იაპ სტამი მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დასტოვა



REUTERS

იქნება, რადგან ის კიევის „დინამოს“ დამრიგებელიცაა და ერთი კაცი ორ სკამზე არ უნდა იჯდეს. ვარაუდობენ, რომ ლობანოვსკის ადგილს მისი თანამემწე ლეონიდ ბურიაკი დაიკავებს. თავად ბურიაკი კი ამბობს: „ნაკრების დღევანდელი მდგომარეობა გვაკმაყოფილებს. გერმანელებთან სათამაშოდ მზად ვართ. გერმანია ძლიერი გუნდია, მაგრამ პრობლემებიც ბლომად აქვს, რადგან პრინციპულ შეხვედრაში ფინელებს ვერ უგებს. ვფიქრობ, ქომაგებს ორი დაუვიწყარი მატჩი ელით“.

მწვრთნელს უკრაინელთა მთავარი ვარსკვლავი ანდრეი შე-

ჩენკოც ეთანხმება და დასძენს, რომ ინგლისელებთან თამაშს ისევ გერმანელებთან შეხვედრა უჯობობს. სხვათა შორის, შეგენკო 9 გოლით დანიელ ებე სანდთან ერთად შესარჩევის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

პლეი ოფის სხვა მონაწილეთაგან საქმე ყველაზე უკეთ, ალბათ მაინც ირლანდიელებს აქვთ, რომლებსაც აზიის მესამე გუნდთან უწყვეთ თამაში. ბოლოდროინდელი აღმავლობის მიუხედავად, აზიელები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ევროპელებს, ამიტომ სავარაუდოა, რომ როი კინი და კომპანია ცალი ფეხით აღმოსავლურ ექსპრესში არიან.



შესწრეხვი შეტყუები



VII ჯგუფი

1 ოქტომბერი
 ბოსნია 5:0 ლიხტენშტაინი
 ისრაელი 1:1 ავსტრია
 საბოლოო ცხრილი

მსპანეთი	8	6	2	0	21:4	20
ავსტრია	8	4	3	1	10:8	15
ისრაელი	8	3	3	2	11:7	12
ბოსნია	8	2	2	4	12:12	8
ლიხტენშტაინი	8	0	0	8	0:23	0

I ჯგუფი

1 ოქტომბერი
 რუსეთი 4:0 შვეიცარია
 სლოვენია 3:0 ფარეაზი
 იუგოსლავია 6:2 ლუქსემბურგი
 საბოლოო ცხრილი

რუსეთი	10	7	2	1	18:5	23
სლოვენია	10	5	5	0	17:9	20
იუგოსლავია	10	5	4	1	22:8	19
შვეიცარია	10	4	2	4	18:12	14
ფარეაზი	10	2	1	7	6:23	7
ლუქსემბურგი	10	0	0	10	4:28	0

IV ჯგუფი

1 ოქტომბერი
 ავლონეთი 1:1 უკრაინა
 უელსი 1:0 ბელარუსი
 სომხეთი 1:4 ნორვეგია
 საბოლოო ცხრილი

ავლონეთი	10	6	3	1	21:11	21
უკრაინა	10	4	5	1	13:8	17
ბელარუსი	10	4	3	3	12:11	15
ნორვეგია	10	2	4	4	12:14	10
უელსი	10	1	6	3	10:12	9
სომხეთი	10	0	5	5	7:19	5

VIII ჯგუფი

1 ოქტომბერი
 იტალია 1:0 უნგრეთი
 რუმინეთი 1:1 საპარტეველო
 საბოლოო ცხრილი

იტალია	8	6	2	0	16:3	20
რუმინეთი	8	5	1	2	10:7	16
საპარტეველო	8	3	1	4	12:12	10
უნგრეთი	8	2	2	4	14:13	8
ლიტვა	8	0	2	6	3:20	2

II ჯგუფი

1 ოქტომბერი
 პორტუგალია 5:0 ესტონეთი
 ირლანდია 4:0 კვიპროსი
 პოლანდია 4:0 ანდორა
 საბოლოო ცხრილი

პორტუგალია	10	7	3	0	33:7	24
ირლანდია	10	7	3	0	23:5	24
პოლანდია	10	6	2	2	30:9	20
ესტონეთი	10	2	2	6	10:26	8
კვიპროსი	10	2	2	6	13:31	8
ანდორა	10	0	0	10	5:36	0

V ჯგუფი

1 ოქტომბერი
 გოლდოვა 0:3 თურქეთი
 გაბალონია 0:5 სლოვაკეთი
 შვედეთი 3:0 აზერბაიჯანი
 საბოლოო ცხრილი

შვედეთი	10	8	2	0	20:3	26
თურქეთი	10	6	3	1	18:8	21
სლოვაკეთი	10	5	2	3	16:9	17
მაკედონია	10	1	4	5	11:18	7
გოლდოვა	10	1	3	6	6:20	6
აზერბაიჯანი	10	1	2	7	4:17	5

IX ჯგუფი

1 ოქტომბერი
 ინგლისი 2:2 საპარტეველო
 გერმანია 0:0 ფინეთი
 საბოლოო ცხრილი

ინგლისი	8	5	2	1	16:6	17
გერმანია	8	5	2	1	14:10	17
ფინეთი	8	3	3	2	12:7	12
საპარტეველო	8	2	1	5	7:17	7
ალბანეთი	8	1	0	7	5:14	3

III ჯგუფი

1 ოქტომბერი
 ჩეხეთი 6:0 ზულბარეთი
 დანია 6:0 ისლანდია
 მალტა 0:1 ჩრდ. ირლანდია
 საბოლოო ცხრილი

დანია	10	6	4	0	22:6	22
ჩეხეთი	10	6	2	2	20:8	20
ბულგარეთი	10	5	2	3	14:15	17
ისლანდია	10	4	1	5	14:20	13
ჩრდ. ირლანდია	10	3	2	5	11:12	11
მალტა	10	0	1	9	4:24	1

VI ჯგუფი

1 ოქტომბერი
 სორვატინა 1:0 ბელგია
 შოტლანდია 2:1 ლატვია
 საბოლოო ცხრილი

სორვატინა	8	5	3	0	15:2	18
ბელგია	8	5	2	1	25:6	17
შოტლანდია	8	4	3	1	12:6	15
ლატვია	8	1	1	6	5:16	4
სან მარინო	8	0	1	7	3:30	1



პოლონეთის დაბრუნება

გუგა სიხარულია



მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დასასრულს უახლოვდება. ევროპაში პლეი-ოფები დაიწყო და გაირკვევა კიდევ, რომელი

ნაკრები გუნდები გაემგზავრებიან კორეასა და იაპონიაში. თუმცა, ამჯერად იმ გუნდზე გვინდა შევჩერდეთ, რომლის ამბავიც კარგა ხანია ცნობილია: პოლონეთის ნაკრები 15 წლიანი მიფიწყების შემდეგ კვლავ იმ მარაქაშია, 1970-იან წლებსა და 80-იანების დასაწყისში რომ იყო.

წარმოსთქვიტ პოლონური ფეხბურთი და უმაღლესი დავიდგებათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1974 წელს გამართული მსოფლიო ჩემპიონატი დაგიდგებათ — გრეგოჟ ლატოსა და ანჯეი შარმახის გოლები, კაჟიმეჟ დენას ბატონობა ნახევარდაცვის გულში, იჟეკ მის გვერდით მოტრიალე რობერტ გადოხა, შეუვალი მცველები ვლადისლავ აჟუდა და ირჟი გორგონი და, რასაკვირველია, ფანტასტიკური მეკარე იან ტომაშეკსი. მაშინ პოლონელები მესამე ადგილზე გავიდნენ და მსოფლიოს ფეხბურთის ელიტაში თავიანთი ადგილი დაიმკვიდრეს.

ოთხი წლის შემდეგ, არგენტინაში, ამ სოციალისტური ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა — ზბიგნეჟ ბონეკი, რომელმაც ლატოს გვერდით დიკავა ადგილი და ნაკრები ფინა-



პოლონეთი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გადის: არკადიუშ ბაკი (მარცხნივ) და მარეკ კოზმინსკი უკრაინელ სერჰი პოპოვის ავიწროვებენ

ლურ ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. 1982 წელს, ესპანეთის სტადიონებზე პოლონელებმა ნახევარფინალს მიაღწიეს, სადაც მომავალ ჩემპიონთან, პაოლო როსის ქროლეით ფრთაშესხმულ იტალიის გუნდთან დამარცხდნენ, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში საფრანგეთს აჯობეს და კვლავ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

1986 წელს მექსიკაში პოლონეთის ერო-

ვნული გუნდი მეოთხედ მოხვდა მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე, შემდეგ კი...

შემდეგ კომუნისტურ რეჟიმს წყალი შეუდგა, ქვეყანას გაფიცვათა ტალღამ გადაუარა, ასპარეზზე გამოჩნდა ლეს ვალენსა და მოძრაობა „სოლიდარობა“ — ფეხბურთში პოზიციები დათმო.

მხოლოდ ბოლო წლებში მიხედვს პოლონელებმა იქით, საით მიხედვაც ერთ დროს ყველაფერზე მეტად უხაროდ და ეამაყებოდნენ. ირი წლის წინ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას ახალი პრეზიდენტი, 48 წლის მიხალ ლიცკვეიჩი ჩაუდგა სათავეში.

ვინ არის მიხალ ლიცკვეიჩი? ის გახლავთ ყოფილი არბიტრი, რომელიც 1990 და 1994 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატების შეხვედრებსაც კი სჯიდა; ის გახლავთ ფეხბურთის ასოციაციის ძველი თანამშრომელი — ამ ორგანიზაციაში მუშაობა 14 წლის წინათ პრეს ოფიცრის თანამდებობაზე დაიწყო და იმდენადაა დაკავშირებული პოლონურ ფეხბურთთან, რომ, ასე განსაჯეთ, თავისი მომავალი მეუღლე 1974 წელს სწორედ იმ ზეიმზე გაიწიო, ეროვნული გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას რომ ეძღვნებოდა.

„ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟი ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთობ დაცემული იყო — ამბობს ლიცკვეიჩი — ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. უმთავრესი ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ცვლა გახლდათ. ადრე ფეხბურთის სახელმ

პოლონეთის 1982 წლის ნაკრები: ვლადისლავ აჟუდა, ირჟეჟ მლინარჩიკი, სტეფან მიუესკი, პაველ იანასი, ზბიგნეჟ ბონეკი, ანჯეი ივანი, იან იალოხა, გრეგოჟ ლატო, ანჯეი ბუნცოლი, ანჯეი პალაში და კლოიშერჟ სპოლიარეკი






ლეკნდარული გრეგოე ლატო

წიფო ფაბრიკა-ქარხნები აფინანსებდნენ, ხოლო როცა ეს პრინციპი მოიშალა, კლუბები ახალი ცხოვრების შესახვედრად მზად არ აღმოჩნდნენ. მაგალითად, სამწუხაროა, რომ დღეს ევროპაში პოლონეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც თანამედროვე სტადიონი არ გააჩნია და საფრანგეთის, იტალიისა თუ ინგლისის გუნდებს ორმოცდაათიანი წლებიდან შემორჩენილ ნაგებობებში ვმასპინძლობთ“.

იყო სხვა მიზეზიც: კომუნისტური რეჟიმის ნგრევას საზღვრების გახსნა მოჰყვა და ნიჭიერი ფეხბურთელი უცხოეთში მიმოიფანტნენ. გარდა ამისა, ახალგაზრდებზე, მათ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებაზე აღარავინ ზრუნავდა.

იან ტომაშეუსკი



70-იან და 80-იან წლებში „ოქროს გუნდის“ გამარჯვებებს მთელი ქვეყანა შეხარდა, მაგრამ ამ სიხარულში მომავალ თაობებზე ზრუნვა გამორჩათ. პოლონური ფეხბურთის სათავეებთან აღმოჩნდა ბევრი შემთხვევითი აღამიანი.

ამაზე ლიციკევიჩი ამბობს: „პირველი, რაც პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გააკეთე, გახლავით ის, რომ ჩვენს ფეხბურთის წარსულის ვარსკვლავები დავებურუნე. დღეს ტომაშეუსკი, ლატო და გადოხა ყმაწვილთა აღზრდის საქმეს ემსახურებიან. ბონეკი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო ის, რომ ნაკრებს ერთ დროს ცნობილი ფეხბურთელი ორი ენგელი თავკაცობს, ახალგაზრდებისთვის დიდი სტიმულია“.

პოლონეთში 2002 წელს ლიციკევიჩის სისტემა ამოქმედდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი კლუბი ვალდებულია თავის სტადიონზე სულ მცირე 10 ათასი სკამი დაამონტაჟოს, ნახევარი გადახუროს და განათების სისტემა მოაწესრიგოს. ყურადღება მიექცევა ახალგაზრდულ გუნდებს.

„ფიფას დახმარებით 16 რეგიონში საწვრთნელ ცენტრებს ვაგებთ. თითოეულში 6-10 მოედანი იქნება. გარდა ამისა, აშენდება სპორტული ტიპის სასტუმროები და სკოლები“, — განაგრძობს ლიციკევიჩი. თუმცა ასოციაციის პრეზიდენტსა და მის კოლეგებს ინფრასტრუქტურისა და საკლუბო ფეხბურთის განვითარებისთვის ჯერ კიდევ დიდი შრომა მოუწევთ. აი, ნაკრებს კი მათი მუშაობის შედეგი უკვე ეტყობა. გამოჩნდა ახალი ვარსკვლავიც: დღეს ყველას მისი სახელი აკერია პარზე: — ემანუელ ოლისადებე.

დაიხ, ოლისადებე, სამხრეთ ნიგერიის ქალაქ ვარიში დაბადებული, იქაურ „იასპერ იუნაიტედში“ თამაშის დროს პოლონელი სკაუტის მიერ შემჩნეული. მას შემდეგ, რაც ხოჟუვის „რუხში“ ხელი მოეცარა, ის ჩინებულად შეერწყა ვარშავის „პოლონიას“, მიიღო პოლონეთის მოქალაქეობა და...

ზბიგნევ ბონეკი



ემანუელ ოლისადებე

„იქნებ ეს ზღაპრად გეჩვენოთ — ნიგერიელი პოლონეთის ნაკრებში... ბელნიერი ვარ, მითუფრო, რომ აფრიკელი სთვის ვეროპაში გადაბარება ძნელია. აქ ძალიან განსხვავებული სტილია, მაგრამ არ ავლელვებულვარ, ვისმენდი, ვაკვირდებოდი და ემუშაობდი“.

იანვრიდან ოლისადებე საბურთენოში, „ბანათინაიკოსში“ გადავიდა, სადაც რასისტული შეურაცხყოფის გადაყლაპავს მოუხდა.

„დაიხ, ცხოვრებაში რამდენჯერმე გადავაწყდი რასიზმს და ბოლოს ვთვითქვ, რომ ამას უნდა შევეუბოდი. ადრე ეს მაწუხებდა, ახლა კი აღარ მაღელვებს, თუმცა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ხელს ყოველთვის შეუწყობს. ისე კი, ძალიან დამეხმარა ის, რომ პოლონეთში ხშირად ვიძლეოდი ინტერვიუს და გახეთების პირველ გვერდებზე ვხვდებოდი“.

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი ენგელი ამბობს: „დაიხ, ემანუელი მსოფლიოს ათ საუკეთესოს შორისაა“, — და შემდეგ ზოგადად განაგრძობს, — „ჩვენი გუნდი იმ ფეხბურთის თამაშობს, რომელსაც მე ასე ვუწოდებდი: დაიხ! რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ვუტევეთ და გოლის გაშვების არ გვეშინია. თუ გავუშვებთ, არა უშავს, სამაგიეროდ ორს ან სამს გავიტანთ. თანაც, ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვათამაშებთ და მსოფლიოს ჩემპიონატი მათთვის დიდი სკოლა იქნება“.

კაზიმეჟ ლეინა



უთავბოლო თამაშები

გიორგი დარჯანი

საქართველოს ნაკრებმა კვლავ ვერ გადალახა შესარჩევი ეტაპი, ამჯერად მსოფლიო ჩემპიონატისა, ისევე, როგორც ჰოლანდიამ, იუგოსლავიამ, მაროკომ — ობიექტურად ჩვენსაზე ძლიერმა ნაკრებმა გუნდებმა და თუ ეს სანუგეშოდ გამოდგება, კეთილი, თავი ამით ვინუგეშოთ. ისე კი, მსოფლიო ფეხბურთი საქართველოში არ დაწეებულა და კორეა-იაპონიაში ჩვენების არყოფნა მსოფლიო ფეხბურთის განვითარებას ვერ დაამუხრუჭებს.

საქართველოს ნაკრებზე სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ და მსოფლიო ფეხბურთის მიუხედავად, ჯადოსნური სიტყვები — მსოფლიოს ჩემპიონატი, — წარმოსახვაში ამოატივტივებს იმ უდიდეს ზეიმს, ოთხ წელიწადში ერთხელ, ერთთვის მონაკვეთში რომ იმართება. მაგრამ ამ ზეიმს წინ უძღვის გრძელი და მომქანცველი სამზადისი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჰქვია. შესარჩევი ეტაპი ნაწილია ამ გრანდიოზული შეჯიბრებისა, თუმცა თავისი სტრუქტურითა და წესებით ის ერთგვარ დამოუკიდებელ ასპარეზობადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ქვემოთ სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპების საინტერესო ამბებს გავიხსენებთ.

შესარჩევი ეტაპების ისტორია მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე 3 წლით, 6 თვითა და 15 დღით მოკლეა, რადგან პირველ, ურუგვაის მსოფლიო ჩემპიონატს, 1930 წელს, წინ კვალიფიკაცია არ უძღოდა. რა საჭირო იყო — ფიფამ ურუგვაში ცამეტ ქვეყანას ძლივს მოუყარა თავი. მომდევნო, იტალიის ჩემპიონატზე თამაშის სურვილი ოცდათორმეტმა ქვეყანამ გამოთქვა და, რაკი მაშინ ფინალურ ეტაპზე მხოლოდ 16 გუნდს უშვებდნენ, შესარჩევი ტურნირის ჩატარების საჭიროებაც შეიქმნა. აქვე ერთი განმარტება: მაშინ ჩემპიონა-

ტის მასპინძელი ქვეყანა შეჯიბრების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, კვალიფიკაცია გავლილთაგან აირჩიეს და ეს ერთადერთი შემთხვევა იყო — მას შემდეგ მასპინძელი შესარჩევი თამაშებიდან გათავისუფლებულია. ეს ჩემპიონატი გამონაკლისი იყო იმ მხრივაც, რომ შეჯიბრებაში მოქმედი ჩემპიონი არ მონაწილეობდა — ურუგვაელებს კვალიფიკაციის გავლა მოსთხოვეს, რაზეც ჩემპიონმა უარი თქვა.

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში პირველი შესარჩევი მატჩი 1934 წლის 28 იანვარს გაიმართა — ჰაიტის გუნდი შინ დამარცხდა კუბელებთან. თავად შესარჩევი ეტაპის სტრუქტურა კი ისეთი უცნაური იყო, ღმერთმა უწყის, ვის თავში და რანაირად მომწიფდა. ჩრდილოეთ ამერიკის ზონა გავარჩიოთ: ამ ზონაში ოთხი გუნდი იბრძოდა — აშშ, კუბა, მექსიკა და ჰაიტი. იტალიაში მოსახვედრად ჰაიტის და კუბას შვიდ-შვიდი მატჩის მოგება სჭირდებოდათ

ქნიკური მარცხი ჩაუთვალა. ამგვარი პრაქტიკა სწორედ იმ მატჩიდან იღებს სათავეს.

შემდეგ ევროპულ ჯგუფში იტალია და საბერძნეთი იყვნენ. პირველი მატჩი, მილანში, მასპინძლებმა მოიგეს, საპასუხო კი არ გადართულა, რატომ? წლების მერე ცნობისმოყვარეებმა ეს ამბავი გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ იტალიელებს ბერძნები მოექრთამათ — მუსოლინი ვიღაც ბერძნებთან შესაძლო მარცხს ვერ დაუშვებდა. ესეც მსოფლიოში პირველი დოკუმენტურად დადასტურებული საფეხბურთო გარიგება.

დასაწყისში საქართველოს ნაკრების მარცხი ვახსენეთ და თავი ჰოლანდიელთა ვერგასვლით ვინუგეშეთ, მაგრამ ვინმე აუ-



ცილებლად იტყვიან, რომ სამაგიეროდ მსოფლიო ჩემპიონატებზე ისეთ ქვეყნებს უთამაშათ, როგორებიცაა კუბა (1938), ჰოლანდიის ინდოეთი (1938), ბოლივია (1930 და 1950), თურქეთი (1954), ჩრდილოეთი კორეა (1966), ისრაელი (1970), სალვადორი (1970), ჰაიტი (1974).

ოლონდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ქვეყნებს მხოლოდ მაშინდელი მოუწესრიგებელი ტურნირების პირობებში შეეძლოთ მსოფლიო ჩემპიონატებზე გაძრომა: 1938 წელს ცენტრალური ამერიკის ზონიდან ერთადერთი საგზურისთვის აშშ-ს, კოლუმბიას, კოსტარიკას, კუბას, მექსიკას, სალვადორსა და ჰოლანდიის გვიანას უნდა ებრძოლათ. კუბის გარდა ყველამ უარი განაცხადა და სივარის სამშობლოს ფეხბურთელებიც ასე მიხვდნენ საფრანგეთში.

იმავ ჩემპიონატისთვის სულ ორმა აზიურმა გუნდმა შეიტანა განაცხადი: იაპონიამ და ჰოლანდიის ინდოეთმა. მოგვიანებით იაპონიამ თამაშზე უარი თქვა.

ბოლივიას ორჯერ გაუმართლა. პირველ მსოფლიო ჩემპიონატს ხომ ისედაც არ უძ



1934 წელს იტალიის დიქტატორმა ბენიტო მუსოლინიმ (თეთრ შარვალში) ბერძნები მოთავლა

(თან კუბელებს ყველა სტუმრად უნდა მოეგოთ), მექსიკას — ოთხი მატჩისა, ხოლო ამერიკას — ერთის (ნეიტრალურ მოედანზე ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე). ძალიან უცნაურია, არა?

ამავე შესარჩევი ეტაპზე ორი საყურადღებო ამბავიც მოხდა: ევროპის მეთუე ჯგუფში შევიცარიათ და რუმინეთმა ბერნში ფრედ ითამაშეს. მერე კი გაირკვა, რომ რუმინეთის გუნდს მოედანზე განუცხადებელი ფეხბურთელი გაეყვანა და ფიფამ ტე-

ლოლა წინ შესარჩევი ეტაპი, 1950 წელს კი მეტოქედ არგენტინა უნდა ჰყოლოდა, რომელმაც უარი განაცხადა.

თხი წლის მერე თურქეთს მაშინდელმა წესებმა და იბალმა უშველა. თურქებს ორგუნდა ჯგუფში მეტოქედ ესპანელები ჰყავდათ, მადრიდში მასპინძლებმა 4:1 მოიგეს, სტამბოლში კი თურქებმა 1:0 იმარჯვეს. მაშინ გოლების რაოდენობას არ ითვლიდნენ და რომში დამატებითი მატჩი გაიმართა, რომელიც ფრედ დასრულდა. არც პენალტები იყო მიღებული და მონეტა აავდეს — ბედმა თურქებს გაუღიმა.

ინგლისის ჩემპიონატზე მოსახვედრად ჩრდილოელ კორეელებს სამხრეთელ თანამოძმებთან და სამხრეთ აფრიკასთან უნდა გაერკვიათ ურთიერთობა. კაბიტალისტმა კორეელებმა კიმ ირ სენის სამფლობელოში ჩასვლა იუარეს, ხოლო აფრიკელები აპარტეიდის გამო მოიკვთნენ. ამ შესარჩევ ციკლში ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა: ფიფამ აფრიკას ცალკე ადგილის გამოყოფაზე უარი შეუთვალა, აზიელებთან ერთად თამაშით, რასაც შავმა კონტინენტმა ბოიკოტით უპასუხა.

მოკლედ, სულ ასეთი რამეები ხდებოდა — სუსტები ძლიერების უარით სარგებლობდნენ.

ბოიკოტთან დაკავშირებით ასეთი შემთხვევაც გვახსენდება: 1950 წელს ერთადერთ აზიურ ჯგუფში ბირმა, ინდოეთი და ფილიპინები მოხვდნენ. ბირმამ და ფილიპინებმა თამაშზე უარი თქვეს და ინდოეთი პირდაპირ დაუშვეს ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატზე. მაგრამ ინდოელები სინდისმა შეაწუხა თუ პოლიტიკური მიზეზი იყო, ბრაზილიაში არ ჩავიდნენ.

მოგვიანებით ფიფამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე კვალიფიკაცია-გაუკვლელი გუნდები (მასპინძლისა და მოქმედი ჩემპიონის გარდა) არ უნდა ხვდებოდნენ. 1958 წელს ებრაელთა მეტოქეებმა — თურქებმა, ეგვიპტემ, ინდონეზიამ და სუდანმა თამაშზე უარი განაცხადეს და ფიფამ განაზრახა ისრაელისთვის როგორმე ერთი მეტოქე მაინც მოეძებნა. ევროპის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკული ზონების ყველა ჯგუფის მეთრეადგილოსანს შორის წილისყრა მოეწყო, რის შედეგადაც ისრაელის მეტოქე უელსი გახდა და დაამარცხა კიდევ.

ამავე შესარჩევ ეტაპზე ერთ ჯგუფში გამარჯვების ბედი მატჩის შედეგის ნაცვლად... დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადაწყვიტა. ეგვიპტე, სანამ ისრაელთან თამაშზე უარს იტყვოდა, კვიპროსს უნდა გასჯიდებოდა. ბრიტანეთის მთავრობამ (ეგვიპტის პროტექტორი) კვიპროსელებს ეგვიპტეში შესასვლელი ვიზების მიცემაზე უარი უთხრა, რისთვისაც ფიფამ... ისევ კვიპროსელები დასაჯა, რა მიზეზით არ ჩახვედით სათამაშოდ, ჩვენი პრობლემა სულაც არ არისო.

პოლიტიკოსები მანამდეც ჩარეულან მსოფლიო ჩემპიონატებში. 1937 წელს ავსტრიამ შესარჩევი ეტაპი კი გადალახა, მაგრამ, გერმანიისგან ოკუპირებულმა, სუვერენიტეტი დაკარგა და მომდევნო წელს საფრანგეთში



იყო ასეთი ქვეყანა - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

ველარ გაემგზავრა, თუმცა იმ ჩემპიონატზე რამდენიმე ავსტრიელმა ფეხბურთელმა გერმანიის ნაკრებში თამაშა.

პოლიტიკამ განსაზღვრა საბჭოთა ნაკრების ბედიც 1973 წელს. საბჭოელები გადათამაშებამი ჩილეს ხვდებოდნენ. მოსკოვში მატჩი 0:0 დასრულდა, საპასუხო შეხვედრა კი საბჭოთა გუნდის სანტიაგოში ჩაუსვლულობის გამო ჩაიშალა — ჩილეში კომუნისტები პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე მოკლეს. მსოფლიოს ჩემპიონატზეც ჩილე გაემგზავრა.

ერთხელ საქმეში ფული, უფრო სწორად კი უფულობა ჩაერია. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან ფიფამ საწევროს გადაუხდულობის გამო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მოხსნა.

თურქეთისგან ესპანეთის კენჭისყრით დამარცხების ამბავი რომ მოვეყვით, ეს წესი მომდევნო შესარჩევ ციკლში შერბილდა. ინდონეზია (ისრაელთან თამაშზე უარის თქმამდე) ჩინეთს შეხვდა, შინ 2:0 მოუგო, სტუმრად კი 3:4 წააგო. დაინიშნა გადათამაშება, ოღონდ წინასწარვე ითქვა, რომ, თუ მატჩი ფრედ დასრულდებოდა, გამარჯვებულად ინდონეზია გამოცხადდებოდა, რაკი მეტი ბურთი ჰქონდა გატანილი. ის მატჩი მართლაც ფრედ დასრულდა.

სრულიად ორიგინალური წესი მოქმედებდა 1970 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. მეოთხე აფრიკულ ჯგუფში ხამბია და სუდანი გაერთიანდნენ. მეტოქეებმა თითო მატჩი მოიგეს, თან ერთნაირი ანგარიშით — 4:2. გამარჯვებულად ყოველგვარი გადათამაშების, წილისყრისა თუ მისთანების გარეშე სუდანი გამოცხადდა, რადგან თურმე ამ მატჩების მეორე ტაიმებში მეტი გოლი გაეტანა.


ცოტალიდენი გეოგრაფიაც. ჩვენთვის გამოცანად რჩება, ფიფამ რა პრინციპით მოახვედრა სხვადასხვა წლებში ეგვიპტე და სირია ევროპის, ხო-

ლო კვიპროსი და ავსტრალია აზიის ზონებში. ისრაელსა და თურქეთს კი ყოველ ციკლში ხან ევროპელებად მიიჩნევდნენ, ხან აზიელებად.

ისე კი მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე ისეთ ქვეყნებსაც უთამაშოთ, დღეისთვის რუკიდან საერთოდ რომ გამქრალან ან სახელები აქვთ შეცვლილი. ჩამოვთვალოთ: პალესტინა, ჩხოსლოვაკია, პოლანდიის გვიანა (ახლანდელი სურინამი), პოლანდიის ინდოეთი (ახლანდელი ანტილის კუნძულები), საარი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირი, კიურასაო (ახლა ანტილის კუნძულების შემადგენლობაშია), როდესია, სამხრეთი ვიეტნამი, ცილონი (ახლანდელი შრილანკა), მალაგასი (ახლანდელი მალაგასკარი), ზემო კოლტა.

ბოლოს კი აი, რა უნდა ვთქვათ: მოგეხსენებათ, ბრაზილია ერთადერთია, უკლებლივ ყველა მსოფლიო ჩემპიონატზე რომ უთამაშა, მაგრამ არის კიდევ სამი ქვეყანა, რომლებიც შესარჩევ ციკლში არ დამარცხებულან: — გერმანია, ხორვატია და სამხრეთი აფრიკა. ისინი ამა თუ იმ მიზეზის გამო უბრალოდ ყველა შესარჩევ ეტაპზე არ გამოსულან.

1973 წელს ჩილეში კომუნისტები სალვადორ ალიენდე მოკლეს და ამის გამო საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს ძიღმა დარჩა



1930



პაუზა კალია

ვიზას გადაწყვეტილებას მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ურუგვაიში ჩატარების შესახებ განსაკუთრებული გამოხმაურება არ მოჰყოლია — ევროპაში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. ოკეანის გაღმა ფეხბურთის სათამაშოდ გამგზავრება ცხადია, დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. თანაც, ისევე როგორც დღეს, კლუბებსა და ნაკრებ გუნდებს შორის დაპირისპირება მაშინაც მწვავე პრობლემა გახლდათ და ამის გამო ზოგიერთ ნაკრებს, შესაძლოა, ურუგვაიში საუკეთესო მოთამაშეები ვერც წაეყ-

საც ყველა მონაწილემ მშვიდობით ჩააღწია დანიშნულების ადგილას.

გახსნის შეხვედრა საფრანგეთსა და მექსიკას შორის გაიმართა. ევროპელებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს — 4:1 თუმცა, ამ ჩემპიონატს, საზოგადოდ, ევროპელთა ზეობისას ვერ უწოდებდით. ამის დასტური ფინალი გახლდათ, სადაც ურუგვაი მეზობელ არგენტინას დაუპირისპირდა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 1:2 წააგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ იძაღეს, 4:2 მოიგეს და ფრანგი მოქანდაკის აბელ ლაფტერის შექმნილი 4-კილოგრამიანი და 30-სანტიმეტრიანი ოქროს თასიც აღმართეს.



პირველი მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში - ფრანგი (მარცხნივ) და მექსიკელი ფეხბურთელების საპაელო ბრძოლა



მონტვეიდიოს „სენტარო“ ფინალის დღეს

მართალია, ფეხბურთი 1904 წელს გლობალურ სახეობად ჩამოყალიბდა (ეს ფიფას დაარსების თარიღია), მაგრამ 1924 წლამდე, სანამ პარიზის ოლიმპიადის პროგრამაში არ ჩართეს, ნამდვილ საერთაშორისო საზღვრებს ვერ სწვდებოდა, რადგან იარაღ, თავისთავის არსებობდა. პირველად სწორედ იქ, პარიზში შეხვდნენ ერთმანეთს სამხრეთ ამერიკის და ევროპის ქვეყნები. ორგანიზატორთათვის მოულოდნელად, საფეხბურთო შეჯიბრებამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, ხოლო ფინალს, რომელშიც ურუგვაიში შეეცარია დაამარცხა, 50 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ზიდენტმა, ფრანგმა ჟიულ რიმემ დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა და ოთხი ევროპული ქვეყნის — ბელგიის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა და რუმინეთის თანხმობა დაიბევა. მართლაც, ამ ქვეყნების დელეგაციები 1930 წლის 21 ივნისს ხომალდ „კორტ ვერდეი“ გავიდნენ ატლანტიკის ოკეანეში და რვა დღის შემდეგ რიო დე

ჯანა. პირველი ჩემპიონატი ორგანიზაციით შემდგომებისგან ძალიან განსხვავდებოდა. კერძოდ, არ იყო შესარჩევი შეჯიბრება და 13 გუნდი სამხრეთ ამერიკას მიწვევით გაემგზავრა. წინასწარ არც კენჭისყრა ჩატარებულა. წილი მხოლოდ მაშინ ყარეს, როდეს

მიუხედავად ამისა, 1928 წელს ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებისგან თავი ბევრმა ქვეყანამ შეიკავა და საფეხბურთო სამყაროსთვის ნათელი გახდა, რომ მას ოლიმპიადისგან დამოუკიდებელი, საკუთარი შეჯიბრება სჭირდებოდა. ეს თვით ფეხბურთის განვითარებასაც შეუწყობდა ხელს.

და იმავე 1928 წლის 26 მაისს, იმავე ამსტერდამში გამართულ ფიფას კონგრესზე გადაწყდა: 1930 წელს ჩატარდეს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი, რომელშიც შეეძლება მონაწილეობა ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას.




1929 წლის 18 მაისს ბარსელონაში გამართულ კონგრესზე დაზუსტდა, რომ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატს ურუგვაი უმასპინძლებდა.

ურუგვაის არჩევას ორმა ფაქტორმა შეუწყობ ხელი. ჯერ ერთი, ამ ქვეყნის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ და მეორეც, იმ წელიწადს ქვეყანა დამოუკიდებლობის 100 წლისთავს აღნიშნავდა. თუმცა იდეა ევროპის ბევრ ქვეყანას არ მოეწონა. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვით ადრე ფიფამ ჯერ კიდევ არ იცოდა, აპირებდა თუ არა რომელიმე გუნდი „ბეებერი კონტინენტიდან“ ოკეანის გაღმა გამგზავრებას. ასეთ რთულ ვითარებაში ფიფას მაშინდელმა პრე-

პირველი მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში - ფრანგთა შეტევა მექსიკელთა კართან





1930 წლის 30 ივლისს გაიმართა პირველი ფინალი ურუგვაიმ არგენტინას 4:2 მოუგო



პირველი ჯგუფი

13.07	საფრანგეთი — მიქსიკა	4:1 (3:0)
15.07	არგენტინა — საფრანგეთი	1:0 (0:0)
16.07	ჩილე — მიქსიკა	3:0 (1:0)
19.07	ჩილე — საფრანგეთი	1:0 (0:0)
19.07	არგენტინა — მიქსიკა	6:3 (3:1)
22.07	არგენტინა — ჩილე	3:1 (2:1)
არგენტინა	3 3 0 0	10:4 6
ჩილე	3 2 0 1	5:3 4
საფრანგეთი	3 1 0 2	4:3 2
მექსიკა	3 0 0 3	4:13 0

მეორე ჯგუფი

14.07	იუგოსლავია — ბრაზილია	2:1 (2:0)
17.07	იუგოსლავია — ბოლივია	4:0 (0:0)
20.07	ბრაზილია — ბოლივია	4:0 (1:0)
იუგოსლავია	2 2 0 0	6:1 4
ბრაზილია	2 1 0 1	5:2 2
ბოლივია	2 0 0 2	0:8 0

მესამე ჯგუფი

14.07	რუმინეთი — პერუ	3:1 (1:0)
18.07	ურუგვაი — პერუ	1:0 (0:0)მ
21.07	ურუგვაი — რუმინეთი	4:0 (4:0)
ურუგვაი	2 2 0 0	5:0 4
რუმინეთი	2 1 0 1	3:5 2
პერუ	2 0 0 2	1:4 0

მეოთხე ჯგუფი

13.07	აშშ — ბელგია	3:0 (2:0)
17.07	აშშ — პარაგვაი	3:0 (2:0)
20.07	პარაგვაი — ბელგია	1:0 (1:0)
აშშ	2 2 0 0	6:0 4
პარაგვაი	2 1 0 1	1:3 2
ბელგია	2 0 0 2	0:4 0

ნახევარფინალი

26.07	არგენტინა — აშშ	6:1 (1:0)
27.07	ურუგვაი — იუგოსლავია	6:1 (3:1)

ფინალი 30.07

ურუგვაი 4:3 არგენტინა
 10 პაბლო დორადო (12), 11 კარლოს დეზიდერო პეუკელე (20), 12 გილერმო სტაბლე (37), 22 პედრო სეა (57), 32 იდიარტე სანტოს ირიარტე (68), 42 ეკტორ კასტრო (89)
ურუგვაი: ენრიკე ბალესტრერო, ხოსე ნასასი, ერნესტო მამორინი, ლეონარდო ხოსე ანდრადე, ლორენსო ფერნანდესი, ალფარო ხესტიდო, პაბლო დერადო, ეკტორ სკარონე, ეკტორ კასტრო, პედრო სეა, იდიარტე სანტოს ირიარტე
არგენტინა: ალბერტო სუპოჩი
არგენტინა: ხუან ბოტასო, ხოსე დელა ტორე, ფერნანდო პატერნოსტერი, ხუან ვეარისტო, ლუის მონტი, პედრო არიკო სუარესი, კარლოს დეზიდერო პეუკელე, ფრანსისკო ვარალო, გილერმო სტაბილე, მარინო ვეარისტო, ბენავენტურა ფერერია
მსაპე: ხან ლანენო (ბელგია)

ჟანეიროს ჩაღწიეს. აქ მათ ბრაზილიის ნაკრებიც შეუერთდათ და 4 ივლისს ყველამ ერთად მონტევიდეოს მიწაზე დადგა ფეხი.

როგორც ზემოთ ვთქვით, მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში 13 ქვეყანა მონაწილეობდა, მათ შორის ოთხი ევროპიდან, რვა სამხრეთ ამერიკიდან და ერთი ჩრდილოეთიდან — შეერთებული შტატების ნაკრები.

ჩემპიონატი საინტერესოდ ჩატარდა. საერთო აზრით, მოთამაშეებმა მაღალი დონის ფეხბურთი შესთავაზეს მაყურებელს. რაც შეეხება მსაჯებს მათ სამხრეთ ამერიკელებს დაუჭირეს მხარი. მაგალითად, მატჩი, რომელიც საფრანგეთის გუნდმა არგენტინასთან 0:1 წააგო, ბრაზილიელმა არბიტრმა ჟილბერტო დე ალმეიდა რეკომ 6 წუთით ადრე დაასრულა, უფრო სწორად, უნდოდა დაესრულებინა, მაგრამ დიდი აყალმაყალი ატყდა და საბოლოოდ შეხვედრის გაგრძელება გადაწყდა, რისთვისაც რამდენიმე ფეხბურთელი საშხაპიდან დააბრუნეს.

რამდენიმე დღის მერე კი კოლოსალურ „სენტაროზე“, 100 ათასი მაყურებლის წინაშე, სამხრეთ ამერიკული ფინალი მოეწყო, რომლის დამთავრების შემდეგ უიულ რი-

მემ ჯილდო ურუგვაელთა კაპიტანს ხოსე ნასასის გადასცა.

მონტევიდეო რამდენიმე დღის მანძილზე ზეიმობდა მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც მას შემდეგ მთელი პლანეტის საყვარელ შეჯიბრებად იქცა.

ბოლოს რამდენიმე დღეაღი დავახუსტით: ოფიციალურად მიღებულია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ჰეთ-თრიქი ამერიკელმა ბერტრამ პეიტენუდმა შეასრულა (17 ივლისს პარაგვაის კარში). თუმცა, არის სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, ის, რომ პირველი ჰეთ თრიქი ეკუთვნის არგენტინელ გილერმო სტაბილეს, მექსიკის კარში სამი ბურთის შემდეგ.

პირველი გოლი ფრანგმა ლუსიენ ლორანმა გაიტანა.

ჩემპიონატის ყველა შეხვედრა მონტევიდეოში გაიმართა — „სენტაროზე“, „პოკიტოსსა“ და „პარკ სენტრალზე“.

ფინალის წინ არგენტინის და ურუგვაის ნაკრებები





იზვერატორი

პაპუნა კელია



ფატიჰ თერიმი? რაც ეს კაცი ახსოვთ, ფეხბურთის გიგანტია. რასაკვირველია, თურქეთში. და აი, ბოლო ხანს გიგანტის საერთაშორისო ამბიციაც გამოიკვეთა — იგი იტალიაში გადაბარგდა, რათა „მილანს“ წარსულის დიდება დაუბრუნოს. როგორი მისიაა?

მაინც, ვინ არის თერიმი? ყველასთვის ცნობილია, რომ ფატიჰ თერიმი 48 წლის თურქი მწვრთნელია და ამ ზაფხულს „მილანს“ ჩაიბარა, მაგრამ უმეტესობამ არ იცის, რომ ამ კაცმა ახალგაზრდობაში 18 წელიწადი „დანადემირსფორისა“ და „გალათასარაის“ დაცვის ცენტრში გაატარა და თურქეთის უმაღლეს დივიზიონში 473 მატჩი ითამაშა. შთამბეჭდავი იყო მისი კარიერა ნაკრებშიც — 71 მატჩი, რომელთაგან ოცდათუთმეტში კაპიტანი გახლდათ. ახლა, ალბათ ნათელია, რა იყო თერიმი თურქული ფეხბურთისთვის სანამ მოედანზე გადიოდა.

მოედანიდან ფასვლის შემდეგ
ფეხბურთელობის წლები გავიდა და ერის საყვარელმა ცენტრალურმა მცველმა, ეროვნული გუნდის კაპიტანმა, მწვრთნელობას მიჰყო ხელი. თავიდან „ანკარაგიუჯიუში“ დაიწყო (1988-1989), შემდეგ „გიო-

ზთეფეში“ გადავიდა (1989-1990) და ისე გამოიჩინა თავი, რომ 1990 წელს 21 წლამდელთა ნაკრების გაძღოლა ანდეს. ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობა თერიმის კარიერაში ახალი საფეხური გამოდგა. ეს ის დროა, როდესაც თურქეთის ნაკრებს სათავეში გერმანელი ზებ პიონტეკი ჩაუდგა და თერიმი მის ასისტენტად დაინიშნა, 1993 წელს კი პიონტეკი წავიდა და მწვრთნელის თანამდებობა მან დაიკავა. „საკუთარი ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდი პატივია“, — ამბობს თერიმი, რომელსაც სახელი ისე გაუვარდა, ამას წინათ უეფას ელიტარულ მწვრთნელთა შეხვედრაზეც კი მიიწვიეს.

თურქეთის ისტორიაში
ეროვნული გუნდის მწვრთნელი ფატიჰ თერიმი ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში შედის: თურქეთის ნაკრები ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის ფინალურ სტადიონზე ალწვეს. მართალია, იქ, ინგლისის სტადიონებზე ყველაფერი სამ შეხვედრაში მთავრდება და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია გუნდს ერთი გოლიც ვერ გააქვს, მაგრამ... „მე, როგორც მწვრთნელმა, ყველაზე დიდი გამოცდილება სწორედ იქ მივიღე. ეს გახლდათ თურქული ფეხბურთის უწყვეტი ზრდის ხანა“ — ამბობს თერიმი.

გალათასარაის დიდი ლაშქრობა
ნაკრების შემდეგ თერიმი „გალათასარაის“ დაუბრუნდა და ამ გუნდში ოთხ წელიწადს დარჩა. სწორედ ეს წლები გამოდგა სტამბოლელთათვის მართლაც ჯადოსნური. ამ ოთხ წელიწადში თერიმმა და მისმა შეგირდებმა ოთხჯერ მოიპოვეს თურქეთის ჩემპიონის წოდება, ორჯერ თასი მოიგეს, ბოლოს კი, ყველაფრის გვირგვინად — უე-

უსნაური ბიჭი

მიხეილ სერგულაქი

ბოლო დროს ევროპულ ფეხბურთში გამოჩენილ ახალ სახელთა შორის მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ოუენ პარკრისიც არის მისი გამოჩენა იმდენად შთამბეჭდავი გამოდგა, რომ მალე ინგლისის ნაკრების თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმაც მიაქცია ყურადღება და პოლანდიასთან ამხანაგური შეხვედრისათვის გამოიძახა კიდევ.

მაგრამ, ჯერ ეს ვიკითხოთ: სად არის მისი სამშობლო?

წარმოშობა

ეს ახალგაზრდა კაცი კანადაში დაიბადა, ფეხბურთულად ვერმანამ, „ბაიერნის“ ახალგაზრდულმა სკოლამ ჩამოაყალიბა, მამა ბოლტონელი ინგლისელი ჰქაქს, დედა კი — რილელი უელსელი. 20 წლისა რომ მოიფარა, ყველა უელსის ნაკრების მომ-

კალ ვარსკვლავად მიიჩნევა, რადგან მიუნხენში მის ზრდას უელსის 21 წლამდელთა ნაკრების თავკაცი ჯიმი შოლდერი ადეუნებდა თვალს.

შოლდერი, რომელიც ახალგაზრდა უელსელებთან ერთად 1994 წლის შემოდგომაზე თბილისშიც გვევწვია, მიხიბლული იყო პარკრისის ღონით, და ტექნიკით. „აბა, დააკვირდით მის ღონეს და ხასიათს კანადაში წამოჩიტილი და გერმანიაში ნასწავლი ბიჭი უკვე დიდ კლუბებში სათამაშოდ არის მზად“, — ამბობდა იგი.

ჩასაზრებელი ინგლისი

პარკრისის ნიჭი „ბაიერნის“ მკანას სკაუტმა მაშინ შენიშნა, როდესაც 15 წლის ბიჭი „კლვარი ფუტბოლზ F.G.“ — ში ავორებდა ბურთს. შემდეგ შოლდერის მეცადინეობით მან უელსის 21 წლამდელთა გუნდში დაიწყო ვარჯიში, მაგრამ უცბად პობ და... 2000 წლის აგვისტოში პარკრისმა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წი-

ნააღმდეგ ინგლისის გუნდში ითამაშა.

შოლდერის კომენტარი: „ყველაფერს საკუთარ წარმატებას ვემსხვერპლეთ, ამოდენა შრომა გავწიეთ, ბიჭი აღმოვაჩინეთ, ის კი ინგლისის ნაკრების წევრი გახდა.“

ამ დროს, ბაიერნი...

ამ დროს მიუნხენის „ბაიერნი“ მშვიდად განაგრძობდა ურთიერთობას თავისი სკოლის აღზრდილთან, მისთვის სულერთი გახლდათ, რომელი ქვეყნის ღირსებას დაცავდა პარკრისი, რომლის კარიერაც ამ კლუბში არ შეწყვეტილა. გასულ სეზონში „ბაიერნი“ ვერმანიის ჩემპიონი გახდა. ცხადია, ჩემპიონი გახდა ოუენ პარკრისიც, მიუნხენელებმა ჩემპიონთა თასიც მოიგეს და ეს თასი, რაღა თქმა უნდა პარკრისმაც აღმართა.

გახსოვთ, ლივის ნახევარფინალში ვერმანიის ჩემპიონის მთავარმა ყოჩმა შტეფან ეფენბერგმა რომ ვერ ითამაშა და იმ დღეს განსაკუთრებული ფეხბურთი სწორედ პარკრისმა შეძიგვითაგაზა?

„ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონხესი: „მი-

ბაჭია

ბუმბ სისარულიძე

როზორც ჩანს 19 წლის ხავეირ სავიოლას „პარსელონაში“ დიდხანს მოუწევს დარჩენა. დღეს, შესაძლოა, მნიშვნელოვან შეხვედრებში მას მხოლოდ 35 წუთს ათამაშებდნენ, მაგრამ „ბაჭიას“ — ასე იმიტომ ეძახიან, რომ საგოლე მომენტს იგრძნობს თუ არა, ნამდვილი კურდღელივით გამოხტება ხოლმე — უკვე მიიჩნევენ რეალდოსა და... მარადონას მემკვიდრედ. „კამპ ნოუ“ ახალი გმირის მოლოდინშია.

დახეიო მარადონას!

რით ჰგავს სავიოლა მარადონას? აი, მაგალითად: სავიოლამ ამ ზაფხულს 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა და ამ შეჯიბრებაში რეკორდი დაამყარა: 7 შეხვედრაში 7 ბურთი შეავლო. მარადონამ 1979 წელს, მისებრ 19 წლისა რომ იყო, ასეთივე ტრიუმფით მოიგო იგივე შეჯიბრება და, როგორც ახლა სავიოლა, „პარსელონაში“ გადავიდა.

რით განსხვავდება სავიოლა მარადონასგან? — სავიოლა გოლების ოსტატია, მარადონა ნახევარდაცვის მაცხტრო იყო. „არ მიყვარს, ერთმანეთს რომ გვაღარებენ. მეორე მარადონა არასდროს დაიბადება. ნებისმიერ მოთამაშეს თავისი სტილი აქვს“ — ამბობს ბაჭია.



ფას თასი. ეს განვლილ სტამბოლელთა ზღაპრული დამე კოპენჰაგენში 2000 წლის მაისის ბოლოს, როდესაც „გალათასარაიმ“ დაამარცხა „არსენალი“ და თურქული ფეხბურთის ისტორიაში პირველი საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა.

სერია A

ტრიუმფმა თერიმს სერია A-სკენ გაუხსნა გზა. თავიდან იყო „ფიორენტინა“, ოლონდ ცოტა ხნით. იქ პრეზიდენტს ვერ შეეწყო და წამოვიდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, წამოვიდა, რათა უკეთეს ადგილას წასულიყო — „მილანში“. მის თავყვანისმცემლებს დღეს თერიმისა და „შავ-წითლებს“ ახალი ერის დაწყება ეიმედებათ.

მფვრთნელი

ეიმედებათ, რადგან ის გამოცდილი, ნამდვილი მწვრთნელია.

ფათიჰ თერიმი 1953 წლის 14 სექტემბერს დაიბადა ადანაში. გუნდების გაძლიერა რომ დაიწყო, ოცდაათ და ორმოც წელს შორის იყო.

„თამაშს თავი რომ დავანებე, ცოტა ხნით ფეხბურთისგან დასვენება მინდოდა, მაგრამ თურქეთის ბეგრმა გავლენიანმა ადამიანმა დაუყოვნებლივ საქმეში ჩართვა მოხოვა და მეც წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიე: მართლაც, ფეხბურთელობის შემდეგ პირდაპირ მწვრთნელობას თუ იწყებ, დიდი უპირატესობაა. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში ისევ ფეხბურთი „მომართული“ გონება არ გერევა და გარდა ამისა, თუ კაცს ცხოვრებაში რაღაც გინდა გააკეთო, ახალგაზრდობაშივე უნდა შეუდგე მიზეზთა გამო ფეხბურთელების წვრთნა ახალგაზრდობაში უფრო იოლია — ერთ დღეს ფეხბურთელი ხარ და უცხად მწვრთნელი

ხდები. თუმცა, მეორე მხრივ, მე ბუნებით ლიდერი ვარ და ამიტომ შეეგუება არ გამჭირვება.

კლუბი და ნაკრები

აი, თერიმის მოსაზრება კლუბსა და ნაკრებში მუშაობის შესახებ: „ნაკრები ყოველკვირულად არ მუშაობს, მას შეხვედრები თვეში ან სულაც ორ თვეში ერთხელ უწევს, მაშინ როდესაც კლუბი შესაძლოა სამ დღეში ერთხელაც კი გადაოდეს მიედანზე. მწვრთნელისთვის დიდ განსხვავებას სწორედ ეს ქმნის. კლუბის მწვრთნელს შეიძლება 30 ფეხბურთელი ჰყავდეს — მაგალითად, „მილანში“ 26 მკავს, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელი კი შეუძლია იმდენი მოთამაშეს მიიწვიოს, რამდენიც მოეპოვებება.

ბარბი მფვრთნელები

ფათიჰ თერიმის აზრით კარგი მწვრთნელი ნებისმიერ ვითარებას მოერგება.

„ადამიანთა პირისპირ საუბარი, მის თვალეზში ჩახედვა, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი კონკრეტული მიზანი „მილანისთვის“ იმ სტატუსის დაბრუნებაა, „ოქროს ხანაში“ რომ ჰქონდა. ვფიქრობ, წარმატებას ამ სეზონშივე მივალწევთ, ვინაიდან დიდ კლუბში გამარჯვება ყველას სწავია. პირადად მე ცხადია, ძველებურად ამბიციური ვრჩები და ვფიქრობ, რომ ამბიციურობა ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია. „მილანში“ წარმატებას რომ მივალწევ, ერთ მშვენიერ დღეს თურქეთში დაგბრუნდები და იმედი მაქვს, ჩემი ქვეყნის ფეხბურთის განვითარებაში დიდ როლს ვითამაშებ“ — ამბობს კაცი, რომლის მეტსახელიც, არც მეტი, არც ნაკლები, იმპერატორია.

დი, ნუ დაგვაიწვილებს, რომ ეს ბიჭი სულ ცოტა ხნის წინ მოყვარულთა შეჯიბრებაში „პეულენდორფისა“ და „ელვერსბერგის“ წინააღმდეგ თამაშობდა... და მე უცხად „რეალთან“ შეხვედრაში ვნახე ფეხბურთელი, რომელიც სულ მცირე 70 მილიონი დოლარი ღირს. ის ის ჰარგრივისი აღარ იყო, კანადიდან რომ ჩამოვიყვანეთ.“

„ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბექენბაუერი: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰარგრივისი უცებ ასე ათამაშდა. როგორც ჩანს, „რეალამდე“ მას, უბრალოდ, თავისი ნიჭის გამოყენების საშუალება არ ჰქონდა.“

როზორცია?

თავად ამბობს, გერმანული ტაქტიკით მოთამაშე ინგლისური სულისკვეთების ფეხბურთელი ვარი. თავს თანამედროვე ყველაგან მორბენალ ნახევარმცველებს აკუთვნებს, ფიქრობს, რომ რაღაცით ხუან სებასტიან ვერონს ჰგავს.

„მოუნებნი დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველი ვარ, ბურთის მოპოვებას მავალეებენ, თუმცა არც მისი შენარჩუნებისთვის ზრუნვას მიკრძალავენ. ჩვეულებრივ მოედნის ცენტრში ვტრიალებ, ოლონდ არც

რომელიმე ფრთაზე თამაშს ვეძლეები. როდესაც შესაძლებლობა მეძლევა, წინ მივიწევ და კარში ვარტყამ.

„ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი: „მანც მგონია, რომ მისთვის ნაკრებში წამყვანი ადგილის დაკავება ცოტა ადრეა.“

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენგორან ერიკსონი: „ცხადია, მისგან ნაკრების ლიდერობას ჯერ არ ველი, მაგრამ ვფიქრობ, რომ მოედანზე სხვებზე ნაკლები არაფრით იქნება. ვეჭვობ, ოუენისათვის საუკეთესო პოზიცია მარცხენა ნახევარმცველობა იქნება, მაგრამ ისიც შეეძლება, რომ თავად იცოდეს — რა ადგილია მისთვის ყველაზე შესაფერისი.“

ორტეგა და პატივოლი

როგორც ამბობენ სავიოლას მშობლიურ „რივერ პლეიტში“ კერპი ჰყავდა — არიელ ორტეგა. ამბობენ იმასაც, რომ ამ ორი ფეხბურთელის თამაშის სტილი რაღაცით ჰყავს ერთმანეთს. თუმცა, სავიოლას ნახევარმცველობაც ეხერხება და თავდასხმელობაც. ასე რომ თუ მაინცდამაინც მის თანამემამულეებზე ვილაპარაკებთ, ის უფრო ორტეგასა და პატივოლას ნახევარ შეიძლება მივიჩნიოთ.

ისე, ორტეგა თავადაც დიდ პატივს სცემს სავიოლას. ის ამბობს:

„სავიოლა ის ფეხბურთელია, რომელსაც მარტოს შეუძლია ჩემპიონატის მოგება. სამწუხაროა, რომ არგენტინაში აღარ თამაშობს. თუმცა, მეორე მხრივ, მიხარია, რომ ევროპაში გამოიწროება. მე თუ მკითხავთ, დღეს მსოფლიოში სავიოლას ტოლი თავდასხმელი არ არის.“

ისევ მარადონას ღახეტი

მარადონას სავიოლას „ბარსელონაში“ გადასვლა მაინცდამაინც არ მოეწონა, ალბათ, ამ კლუბთან თავისი კონფლიქტი გაახსენდა. მან ახალგაზრდა თანამემამულეზე ასე თქვა:

„სავიოლა ფენომენია. მას ისევე შეუძლია თამაში და გოლების გატანა, როგორც მარკო ვან ბასტენს შეეძლო. რომ ვუყურებ, ასე მგონია, მოედანზე დაფრინავს.“

ცნობისთვის, ხავეირ სავიოლამ არგენტინის ორივე პირველობა მოიგო (აპერტურაცა და კლასურაც) და მთელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

სივრთხილმს თავი არ სტკივს

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ხავეირ სავიოლა, რაღა თქმა უნდა, საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და „ბარსელონამაც“ დიდი სიაშიგნებით გაუფორმა ხუთწლიანი კონტრაქტი. მიუხედავად ამისა, კატალონიელთა გუნდის მწვრთნელი კარლოს რექსასი ფრთხილობს:

„სავიოლა უთუოდ ნიჭიე-

რია, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდა და ევროპულ ფეხბურთთან შეგუება სჭირდება.“

ერთი სიტყვით, რექსასს იმის თქმა უნდა, რომ სავიოლას ყოველ მატჩში დატვირთვა ნადრეგია, ფეხბურთელი კი აი, რას ამბობს:

„რექსასს ჩემთვის ახსნა-განმარტების მოცემა არ ევალება. ჩემი საქმე ისაა, მწვრთნელს როცა უნდა და სადაც უნდა, იქ მათამაშოს.“

აქამო 206

ეს მანქანა ძველია და ჯერ არ გამოუცვლია.

ესპანეთში მოთამაშე თანამემამულეთაგან ყველაზე მეტად ვალენსიელი პაბლო აიმარი მოსწონს.

უცხო კონტინენტზე გადასვლას და გამოდრებას ჯერ არ გაუგებია.

„ბარსელონაში“ გადავიდა თუ არა, მამა გარდაეცვალა. ეს აგვისტოში მოხდა. და როგორც ამბობენ, ღმერთმა უშველოს ევროპულ მცველებს ბაჭია მთელი ძალით რომ ათამაშდება.“



ჯოვანი ელბერი

სოლომონ გულისაშვილი

ბერმანულ ბუნდესლიგაში, ვოტვათ, იტალიისა და ესპანეთისგან განსხვავებით, სახელიან უცხოელებს არასოდეს უთამაშათ. ინგლისელი კოვანი, დანიელი სიმონსენი, ფრანგი პაპინი და კიდევ რამდენიმე იშვიათ გამონაკლისებად თუ ჩაითვლებიან. აქ ყოველთვის ადგილობრივი ვარსკვლავები და მუშა უცხოელები ერჩივნათ.

„ბოსნიანის წესის“ მერე ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, წლეულს გაზაფხულზე „ვოლფსბურგთან“ შეხვედრაში „კოტბუსის“ შემადგენლობაში არც ერთი გერმანელი არ გამოჩენილა, მაგრამ სხვა საქმეა, რა დონის ლეგიონერები ჰყავს იმავე „კოტბუსს“, „შტუტგარტს“ ან თუნდაც მრისხანე „ბაიერნს“. ზიდანის, ფოგუს ან პატივოლას დარი უცხოელების გვარებს ვერც ერთის განაცხადში ვაპოვებთ. მოკლედ, ტენდენცია იგივე დარჩა, მხოლოდ აქცენტები შეიცვალა.

ერთი ასეთი აქცენტი ბრაზილიელების არნახული მოზღვავებაა. ამჟამად გერმანიის მთავარ ლიგაში ოცზე მეტი ბრაზილიელი თამაშობს. მრავლად არიან მეორე ბუნდესლიგასა და რეგიონალიზაციაშიც კი. იმავე ელბერმა და რატინომ სწორედ გერმანიაში თამაშით გაითქვეს სახელი. დღეს მათს კვალს რამდენიმე ნიჭიერი თანამემამულე ადვას. მაგალითად, 22 წლის გამთამაშებელი ლინკოლნი, — რომელიც „კაიზერსლაუტერნმა“ 7,5 მილიონ მარკად იყიდა და ამით კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშე გახდა — პირველსავე სეზონს დიდებულად ატარებს და ძირითად შემადგენლობაში ფრანგი ფეხბურთელის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ოური ჯორჯაფეის ადგილი დაიკავა. ანდა, 20 წლის ევერტონი, „დორტმუნდმა“ სექტემბერში ასევე 7,5 მილიონად რომ გადაიბირა „სან პაულუდან“. მან პირველივე ბუნდესლიგურ მატჩებში დაიწყო გატანა და თანაც ისეთი ბრაზილიური პასები არიგა, რომ თქვენი მოწინებელი, საერთოდ, „დორტმუნდი“ ბრაზილიელების სიმრავლით გამოირჩევა და გერმანიაში დორტმუნდის „ბრაზილიასაც“ კი უწოდებენ.

გერმანულმა კოჭი ჩომაკმა აჩვენა აქამდე უცნობი

წლებიანი ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი მარსიო აძორიზოს „პარმადან“ „დორტმუნდში“ გადასვლა გახლდათ. ბორუსიელებს ის ჯამში 25 მილიონი დოლარი დაუჯდათ, რაც ბუნდესლიგისთვის ძალიან დიდი თანხაა.

თავდაპირველი მოლაპარაკებით, ფულის გარდა გერმანელებს კიდევ ერთი ბრაზილიელი, ევანილსონი უნდა დაეთმოთ, მაგრამ მან იტალიაში გადაბარგება იუარა და მათიას ზამერის გუნდში დარჩენა არჩია. ტრანსფერმა გაამართლა, აძორიზოს კოლი ვოლზე გააქვს და ჩემპიონატის ბომბარდირთა შორისაც საიმედოდ უჭირავს ადგილი.

ბუნდესლიგაში სულ რამდენიმე კლუბია, ბრაზილიელი მოთამაშე რომ არ ჰყავს. მათ შორის ჩვენებურების „ფრაიბურგი“ და „ვიოლინი“. აი, მეორე ბუნდესლიგაში კი გიორგი დეკანოსიძის ფიურტელი თანაგუნდელი, ვინმე ბატისტა ევერალდო გამოდის.

და მაინც, რატომ ეტანებიან ბრაზილიელები გერმანიას? იქაური სპეციალისტების აზრით, მათ კარგად იციან, რომ გერმანულ კლუბებში მოხვედრა პრესტიჟული და სარფიანი საქმეა. თუ სხვა ქვეყნებში ფეხბურთელები მეტწილად კლუბის მფლობელის განწყობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე არიან დამოკიდებული, გერმანიაში ისინი თავს სერიოზული ფირმის წევრებად გრძნობენ. კლუბი ნიადგ ზრუნავს მათს სპორტულ, სოციალურ მდგომარეობაზე და სამედიცინო უზრუნველყოფაზე. მართალია, ხელფასები ებერებათ, მაგრამ მაინც კარგ ფულს შოულობენ, თანაც დროულად და ზუსტად უხდიან, რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, ესპანეთზე ან საფრანგეთზე.

შარშან მარსელინო მარსელის „ოლიმპიკმა“ „სან პაულუსთან“ იყიდა, მაგრამ ფეხბურთელი მალე სამშობლოში დაბრუნდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, თავად მარსელინოს აზრით, ის არის, რომ კლუბმა საყოფაცხოვრებო პრობლემები ვერ მოუგვარა, არ გამოუყო თარჯიმანი, არ დაეხმარა საცხოვრებლის მოძებნაში. „ჰერტაში“ გადასვლისთანავე კი ყველაფერი უძალდელადაა.

ადრე ზოგი ბრაზილიელი გერმანიაში გადასვლას იმიტომ უარობდა, რომ ეჭვობდა ნაკრებში აღარ მიმიწვევენ. ბოლო დროს ვითარება შეიცვალა. მათ ეროვნულ გუნდშიც იმახებენ და პატივსაც სცემენ. ბრაზილიური მედია დიდ ადგილს უთმობს ბუნდესლიგას. საგანგებო არხიც კი არსებობს, რომელის პირდაპირ ეთერში გადასცემს „ლევერკუზენის“ მატჩებს, — იქ ხომ სამი ბრაზილიელი თამაშობს.

ცხადია, პრობლემებიც არის. ბაიერნელი პაულო სერჟიო ჰყვება: „ბრაზილიაში სადღეს სხვა გუნდის მოთამაშეებსაც ვპატივებთ ხოლმე, გერმანიაში კი მოედნის



უტეკს მარსიო აძორიზო

გარეთ თანაგუნდელებსაც ძალიან იშვიათად ეხვლებით. გვიჭირს გერმანულ წესრიგთან და კლიმატთან შეგუება, მაგრამ ბუნდესლიგას უამრავი დადებითი მხარე აქვს და გვირჩევენია, რაღაც-რაღაცეებს, რომ შევეთვისოთ. როცა გერმანიაში ჩავვდი, იქ სულ სამი თუ ოთხი ბრაზილიელი თამა-

შობდა, დღეს ბევრი ჩემი თანამემამულე გადმოვიდა და მარტოობასაც აღარ ვგრძნობთ“.

ერთხელ ფრანც ბეკენბაუერს რომელიღაც ბრაზილიელის ფინტი უნახავს და უთქვამს, გერმანელს რომ ამის გაძივრება განეზრახა, უთუოდ კოჭს ამოივლებდალ...


ბრაზილიელები ბუნდესლიგაში

ბაიერნი:	ჯოვანი ელბერი	23.07.72	1997 წელს გადავიდა შტუტგარტიდან
	პაულო სერჟიო	02.06.69	1999 რომადან
დორტმუნდი:	დედე	18.04.78	1998 ატლეტიკო მინეიროდან
	ევანილსონი	12.09.75	1999 კრუზეირუდან
	ამოროზო	05.07.74	2001 პარმადან
	ვერტონი	10.06.81	2001 სან პაულოდან
ლევერკუზენი:	ლუსიო	08.05.78	2000 ინტერნასიონალიდან
	მარკინიოსი	29.08.81	2000 ლიმეირადან
	ზე რობერტო	06.07.74	1998 ფლამენგოდან
ჰერტა:	ალექს ალვეზი	30.12.74	1999 კრუზეირუდან
	მარსელინო	17.05.75	2001 გრემიოდან
ჰერფორტი:	აილტონი	19.07.73	1998 ნუევი ლეონიდან
ლაშტაინი:	ლინკოლნი	22.01.79	2001 ატლეტიკო მინეიროდან
	რატინიო	08.06.71	1996 აარაუდან
ვოლფსბურგი:	რობსონ ბონტე	06.11.76	2001 ლევერკუზენიდან
კობლენცი:	ერაფელ და სილვა	29.03.74	2001 ულმიდან
	ბრაზილია	28.07.77	2001 პოგონიდან
	ფრანკლინი	24.02.69	1998 ლაიპციგიდან
შტუტგარტი:	მარსელო ბორდონი	07.01.76	1999 სან პაულოდან
	ადემარი	24.04.72	2000 სან კატანოდან
ნიურნბერგი:	ჟუნიორი	10.10.77	2000 ლაუტერნიდან
გლადბახი:	მარსელო ჟოზე პლეჩი	13.05.76	1999 ოლივეირენსედან

სუსუნი



1998 წლის 12 ივლისი. საფრანგეთი—ბრაზილია 3:0, ზინედინ ზიდანმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში კუთხურიდან გახსნა ანგარიში



მამუკა კვანტალიანი

...მამუკა კარი გაიჯახუნა ეროვნულმა გუნდმა. ეს არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. საქართველოს პოლონეთის ნაკრები სტუმრობდა.

...კუთხური დაინიშნა სტუმართა კართან. ქართველებმა ბურთი პირდაპირ საჯარიმოში ჩაჰკიდეს. იქ ყველაზე სხარტი და მარდი კაპიტანი კახა ცხადაძე აღმოჩნდა — საჯარიმოში სწორად შეარჩია ადგილი და მისმა თავურმაც მიზანს მიაღწია.

ეს იყო პირველი და დღემდე ჯერჯერობით ერთადერთი შედეგიანი კუთხური საქართველოს ნაკრებისთვის. მსოფლიო კი უამრავ თეორიას ამუშავებს და მერე ასხამს ხორცს იდეებს. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთები პანტაპუნტით ცვივა ამა თუ იმ გუნდის კარში. მხოლოდ ქართველებმა ვერ გაითავისეს კუთხურის სელიფენა.

კუთხურიდან გოლები ნოდარ ახალკაცის „დინამოსაც“ ვერ გაჰქონდაო, ისხენებს დღეს სტაჟიანი სპეციალისტი თუ ქომაგი. მართალია, მაგრამ ყიფიანს, შენგელიას, ჩივაძეს და სხვებს კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი მანც გაურტყამთ მიზანში.

მერე დროება შეიცვალა და აირია. მწვრთნელთა ახალმა თაობამ ვერაფერი ასწავლა შეგირდებს. დღემდე ვრჩებით ცხადა-

ძის ერთი ზუსტი თავურის ამარა.

კუთხურის ხელოვნება თანამედროვე ფეხბურთს კი მეცნიერების დონემდე აჰყავს. საშუალოზე საშუალო გუნდია შოტლანდიის „დანი“ და მის ახალგაძომცხვარ მწვრთნელს ივანო ბონეტის თურმე კუთხურის 30 დაბუშვებული ვარიანტი ჰქონია. ეს ნაკრების კაპიტანმა და „დანიის“ ქართველმა საყრდენმა გიორგი ნემსაძემ გაგვიმხილა. შოტლანდიელთა საშუალო გუნდი რა არის და „მანჩესტერ იუნაიტედი“ რა იქნება! ამიტომაც მოიგო ინგლისურმა გრანდმა თითქმის წაგებული ფინალი 1999 წელს, — „ბაიერნს“ სწორედ დაუციწყარი კუთხურების წყალობით გამოაცალა ხელიდან ლამის შინ წადებული თასი.

ახლა ოთხმოცდაათიანი წლების შუახანებში გადავიხატავთ და იმ დროს სახელგანთქმული „პარი სენ ჟერმენი“ გავიხსენოთ. გუნდმა, რომელშიც ჟორჟ ვეა, იური ჯორკაევი და დავიდ ჟინოლა გამოდიოდნენ, ჩემპიონთა ლიგაში ცხრა გოლიდან შვიდი კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ გაიტანა.

ამ დროს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუძლია ოცჯერ მოიპოვოს კუთხურის უფლება ლიტვის გუნდის კართან და ისე უსუსურად გაითამაშოს ან ჩააწოდოს ბურთი მეტოქის საჯარიმოში, რომ სტუმართა მეკარეს საფრთხე ერთხელაც ვერ შეუქმნას.

მარტო ამიტომ არა, მაგრამ აქედანაც ჩანს,

რატომ იქცა საქართველოს ნაკრები ოდენ კარის გამჯახუნებლად.

...თბილისს გერმანია სტუმრობდა, რა თქმა უნდა, მოგვიგეს „ფრიცებმა“. ერთი გოლი გერმანელებმა კუთხურიდან გაგვიტანეს. ნაკრების აწ უკვე ყოფილი მეკარე აკაკი დევაძე იმ ამბავს ასე იხსენებს:

„კუთხურს ბასლერი აწვდიდა. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი, — ბურთი ჩვეულებრივად გაასწორა, მისკენ აუჩქარებლად წავიდა და თითქოს ჩვეულებრივად ჩააწოდა. მანამდე კლინსმანმა ჩვენს მცველებს ორჯერ შემოუბრინა. შელიამ მისი შეჩერება ვერ შეძლო. ბურთის თითქოს ხელიც წავატანე, მაგრამ...“

მერე რამდენჯერმე დავატრიალე ის ჩანაწერი და დავრწმუნდი, ბასლერმა ზუსტად იცოდა, სად და როგორ ჩაეწოდებინა, კლინსმანი კი გამოთვლილ ადგილზე დახვდა ბურთს. დარწმუნებული ვარ, ისეთ ვარსკვლავებსაც კი, როგორებიც კლინსმანი და ბასლერი იყვნენ, მრავალჯერ ჰქონდათ დამუშავებული ეს ვარიანტი.

ბევრი ვიფიქრეთ, კუთხურების შესახებ აზრი ვისთვის გვეკითხა, მაგრამ ოთარ გაბელიაზე უკეთესს ვის ვიპოვიდით. ყოფილი დიდი მეკარე და ნაკრების მეკარეთა დამრთველები გვარიანად ჩაფიქრდა, ბევრსაც ვერაფერს გეტყვითო, გვითხრა და დაიწყო...

„კუთხურის ჩამოწოდებისა და გათამაშების ძირითადად რამდენიმე ხერხი არსე



კუთხურის ბასლერი აწვდიდა... შელოამ კლინსმანის (მარჯვნივ) შეჩერება ვერ შეძლო

ბობს. დანარჩენი მწვრთნელის ფანტაზიაზე და შემსრულებლებზე და მოკიდებული. ნაკრებში ჩემი ძირითადი მოვალეობაა, მე-კარეებს სწორად თამაში ვასწავლო. კუთხურის დროს მეკარეს დიდი ყურადღება მოეთხოვება. მან თანაგუნდელები კარის ორივე ძელთან უნდა განალაგოს და საჯარი-

მოში მეტოქის ერთი მოთამაშეც არ დატოვოს უმეტესად ყურადღებით. ასევე დიდი ოსტატობა უნდა ჩანდეს მისი გამოვლის დროსაც.

ახლა შემტევებზეც ვთქვამთ: ერთი და მეტად გავრცელებული ვარიანტია კუთხურიდან ბურთის უახლოეს ძელთან ჩაკიდება. ამ დროს თავდაპირველი დასწრებაზე თამაშობს და ბურთს საჯარიმოს სიღრმეში, უმეტესად მეკარის ბაჟინის სიახლოვეს თავით აგდებს. იქ კი მეორე თამაშობს დასწრებაზე და ხიფათიც ხშირად იქმნება.

მეორე ვარიანტი ესაა: ბურთს შორეულ ძელთან დაკიდებენ. შემტევი გუნდის მოთამაშე მას თავით საპირისპირო მიმართულებით, თანაგუნდელისკენ გზავნის, ის კი შემტევის დაგვირგვინებას ცდილობს.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: კუთხურის დროს შემტევი გუნდის ხუთი ან მეტი ფეხბურთელი განუწყვეტლივ მოძრაობს მეტოქის საჯარიმოში. ამათგან დასარტყმელად მხოლოდ ერთია მზად და ის დათქმულ ადგილზე ელოდება ბურთს, დანარჩენები კი მცველთა დასახევივად პოზიციებს იცვლიან.

ძალიან იშვიათად, მაგრამ არის ზოლმე, ჩამწოდებული პირდაპირ კარში ახვევს ბურთს. ქართველებს იღია დათუნაშვილი გვყავდა ასეთი მოთამაშე, უცხოელთაგან ბოლოს, თუ არ ვცდები, რობერტო ბაჯომ მოახერხა კუთხურიდან გოლის გატანა.

რასაკვირველია, კუთხურის შედეგადად გამოყენება, საბოლოოდ, მაინც შემსრულებლებზე და მოკიდებული და კიდევ იმაზე, რა დროს უთმობენ გუნდები ამ სტანდარტული სიტუაციის დამუშავებას.

ეროვნულ ნაკრებში გავყავს კახა კალაძე და მიხეილ ყაველაშვილი. თავით თამაში შეუძლიათ შოთა არველიაძეს, ალექსანდრე იაშვილს და გიორგი დემეტრაძეს, სხვები კი ნაკლებ ეფექტურობი არიან. არ ვიტყვი, სტანდარტულ მდგომარეობათა დახვეწას ყურადღებას არ ვუთმობთ-მეტევი, მაგარ, რაც გამოდის, კარგად ხედავთ. ისე, დროც აღარ გვეოფნის, ჩვენს განკარგულებაში ზომ სულ რაღაც ოთხი-ხუთი დღეა.

ცხონებული დავით ყიფიანის დროს ეროვნულ გუნდს მეორე შესარჩევი ეტაპის მეორე ნახევარში კუთხურის გათამაშების მეტად ორიგინალური ხერხი ჰქონდა: ორი კუთხურის ალაშქრით ბურთს გაითამაშებდა, ერთი საჯარიმოსთან, პირით ხაზთან იხსენებოდა და ბურთს მიღებისთანავე გამჭოლი პასით საჯარიმოში აწვდიდა. ეს განსაკუთრებით სახიფათოდ საკონტროლო მატჩებში გამოგვივიდა მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებში არ გამოგვიყენებია.

არადა, ევროპის თუ მსოფლიოს გუნდებს გილები უმეტესად წილი კუთხურებიდან ან სტანდარტული მდგომარეობებიდან გააქვთ, ჩვენ კი... ჩვენ კიდევ სწავლა, ფიქრი და დახვეწა გვმართებს."

1999 წლის 26 მაისი. მანჩესტერი — ბაიერნი 2:1 ტედი შერინგემმა დევიდ ბექჰემის ჩაწოდებული ბურთით ოლე გუნარ სოლსკიარს დაუგო



REUTERS



მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა — „ლაციოში“ ნანტი წაავო და წინა ნომერში გამოთქმულ მოსაზრებისთვის ბოდიშის მოხდა აღარ დაგვიჭირდა. ისე კი ვარსკვლავებით გადაჭედული რომაულ კლუბს საქმეები ისე აქვს აწეწილი, ეს ჩაჯარნა დიდ სენსაციად არ უნდა მივიჩნიოთ. გასაკვირი სხვა რამ არის — ლიგაში მშვენივრად მოთამაშე „ნანტი“ როგორ ახერხებს საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლო ადგილზე ყოფნას.

ქომაგთა თითქმის ერთსულოვანი განწყობა ისეთია, რომ „ლაციოზე“ მეტად ხალხს „სელტიკის“ E ჯგუფში ჩარჩენამ დაწვევითაა გული. ეს სიმბათია მარტინ ონილის გუნდმა გამართული და ფინიანი თამაშით მოიპოვა. სქოთებმა ქულებიც ბლომად დააგროვეს — ცხრა. ეს რაოდენობა საკმარისი გამოდგა „რომასთვის“ და „არსენალისთვის“, „ბოავიშტას“ მეორე ადგილზე გასასვლელად სულაც რვა ქულაა ეყო, „სელტიკისთვის“ კი საკმარისი არ აღმოჩნდა — ისევე როგორც „მალიორკასთვის“, რომელიც ოდენ ურთიერთშეხვედრებში უარესი

მადრიდელმა ლუიშ ფიგუემ რომაელები ემერსონი (მარჯვნივ) და ძველ მაისურაზე ჩაიბა

ზომბი ცხრა რეპაზე ცოტაა



გიორგი ღარჯანია


რიტორიკაში წერია, ყველაფერი შესავლიდან უნდა დაიწყოთ კაცმაო. ჩვენ ბოლოდან მივყვით, ანუ თავში ვთქვათ, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ეს ამბავი კი საეჭვოდ დემითხვა თბილისში მიტინგების ტალღის აგორებას, ოღონდ მათი ურთიერთკავშირი ვე-

რჯერობით არ შეინიშნება.

პირველი, რაც წინა სეზონებთან შედარებისას თვალში გვეცემა, სენსაციების სიმცირეა. გავიხსენოთ: წინა ლიგის პირველ ეტაპზე ჩარჩნენ „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“, იმის წინ კი — „მილანი“ და „არსენალი“. თუ ახლანდელ ვითარებას ჩავუკვირდებით, მსგავსი არაფერი მომხდარა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ჯგუფების“ არყოფნა უნდა იყოს. და თუ მაინცდამაინც სენსაციების პოვნა გვსურს, რომის „ლაციოს“ მივადგეთ, რომელმაც უეფას თასზე გადასვლაც ვერ შეძლო.

ჟურნალის წინა ნომერში, პირველი წრის მიმოხილვაში რომაული კლუბი ჯგუფში ჩასარჩენად განწირულად მივიჩნიეთ, რაკი სამივე მატჩი წაგებული ჰქონდა. საქმე ისე წავიდა, რომ ბოლო ტურში, ნანტი თამაშამდე „ლაციოს“ შანსი გაუჩნდა. ოღონდ ალბერტო ძაკერონის შექებას ნუ ვიჩქარებთ — მეტოქეებმა ერთმანეთში ქულები იმგვარად გაიყვეს, რომ სატურნირო მდგომარეობა და შანსები გათანაბრდა.

ფეიენოორდელი იონ დალ ტომასონი სპარტაკელმა მეკვანამემ პარფიონოზზე დაანარცხა



REUTERS

შედგის გამო ჩამორჩა „არსენალს“ C ჯგუფში.

შოტლანდიური თემა... „ფენერბაჰჩეთი“ გავარძელოთ. ეს ერთადერთი გუნდია, რომელმაც ლიგა უჩულოდ დატოვა. სწორედ რომ გაუგებარია, როგორ შეძლო „ფენერბაჰჩე“ საკვალიფიკაციო ეტაპიდან „რეინჯერსის“ გაგდება, ვითომ გლაზგოელები უფრო უსუსურად ითამაშებდნენ? თუმც ამაზე უარესი რა უნდა ექნათ.

„ფენერბაჰჩეს“ გარდა თამაშმოუგებლად ლიგას „სპარტაკი“ და „ანდერლეხტი“ გამოეთხოვეს. რუსები ლიგის პირველ ეტაპს ჩვეულებრივ ომანიანად იწყებენ და გაზაფხულისკენ უკლებენ, რაც მათი უკუდართი კალენდრის ბრალი უნდა იყოს, ახლა კი შერცხნენ და ვერც რუსულმა ყინვამ უშველათ. ბელგიელებმა კი თავიდანვე თქვეს, ლიგაში, ვიცით, ვერაფერს მივაღწევთ და გვიჯობს მეტი ყურადღება შინაურ ჩემპიონატს მივაქციოთ. „ანდერლეხტს“ ამ ლიგიდან „რომასთან“ ორჯერ გახერხებული ფრე თუ გაყვება სასიამოვნო მოგონებად. მაგრამ კმარა ჩარჩენილებზე ლაპარაკი და ჯგუფიდან გასულთა ამბები გავარჩიოთ.

„რეალი“, „ბანათინაიკოსი“ და „ლევანტო“ რომ გავიდოდნენ, პირველი წრის მერეც ცხადი იყო, რადგან ქულადაუკარგავად მიდიოდნენ და რა ღმერთი გაუწყრებოდათ. ამიტომაც იყო, რომ მეორე წრეში მათი თამაშები საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა, გამონაკლისი „რეალი“ — „ანდერლეხტი“ იყო, როცა მადრიდელებმა ლალი ფეხბურთი გააჩაღეს და მეტოქეს ოთხი ერთიმეორეზე უკეთესი გოლი შეუგდეს.

მეორე წრის ყველაზე გამორჩეული მატჩი კი უდავოდ „მანჩესტერ იუნაიტედ“ — „დეპორტივო“ გახლდათ.



იუვენტუსელი დავიდ ტრეზეგე „პორტუს“ ბაღეში

ტურინელი ალესანდრო დელ პიერო (10) სექტემბერ-ოქტომბერში საუცხოოდ თამაშობდა





REUTERS

სპრტელი არეი ნოვოტნი მოქმედებ მარკუს ფილდერს ისე შეასტა თითქოს მტოქე ღვარი ყოფილიყო

ამათი პირველი წრის მატჩიც, ლა კორუნიასში, დიდად სასერიო გამოდგა და მანჩესტერში იმ თამაშის გაგრძელება ვნახეთ. გავიხსენოთ: ლა კორუნიასში ინგლისელი მცველები უსუსურად გამოიყურებოდნენ და ბოლო წუთებზე წააგეს. მანჩესტერში კი იუნაიტედელთა დაცვასა და მეკარის შეუთანხმებლობამ ყოველგვარ წარმოსადგენ ზღვარს გადააჭარბა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, ფაბიენ ბარტეზი და უესლი ბრაუნი მხოლოდ იმიტომ იყვნენ მინდორზე, ერთ-მანეთისთვის ხელი შეეშალათ.

ერთი კითხვა: სად გადის „ბაიერნის“ შესაძლებლობების ზღვარი? ამ კითხვას საფუძვლად ის უდევს, რომ ბავარიელებს ექვსიდან ერთ მატჩშიც არ გაუყვანიათ სრულად ის შემადგენლობა, რომელმაც წინა ლიგა მოიგო. აქ მხოლოდ ერთი-ორი კაცის არყოფნაზე არ არის ლაპარაკი. ბოლო ტურში კი, „სპარტასთან“, სულაც მეორე შემადგენლობით გავიდა და მოიგო.

ბოლოს ორიოდ სიტყვა მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრაზე:

როცა ზემოთ ვთქვით, „სიკვდილის ჯგუფი“ პირველ ეტაპზე არ ყოფილა, ვიგულისხმებ, რომ მეორე ეტაპზე უნდა ყოფილიყო. ისე ავიხდათ ყველაფერი. აბა, როგორია: ერთ ჯგუფში „ბარსელონა“, „ლივერპული“, „გალათასარაი“, „რომა“, მეორეში კი — „რეალი“, „ბორტო“, „პანათინაიკოსი“ და „სპარტა“.

მზიარულ მეორე ეტაპს გისურვებთ.

ნაგაონობა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის საბოლოო ტურნირები

A ჯგუფი

რეალი	6	4	1	1	13:5	13
რომა	6	2	3	1	6:5	9
ლოკომოტივი	6	2	1	3	9:9	7
ანდერლეხტი	6	0	3	3	4:13	3

B ჯგუფი

ლივერპული	6	3	3	0	7:3	12
ბოკაიონოს	6	2	2	2	8:7	8
დორტმუნდი	6	2	2	2	6:7	8
დინამო	6	1	1	4	5:9	4

C ჯგუფი

პანათინაიკოსი	6	4	0	2	8:3	12
არსენალი	6	3	0	3	9:9	9
მალორკა	6	3	0	3	4:9	9
შალკე	6	2	0	4	9:9	6

D ჯგუფი

გალათასარაი	6	3	1	2	5:4	10
ნანტი	6	3	2	1	8:3	11
ჰესეინდოვენი	6	2	1	3	6:9	7
ლაციო	6	2	0	4	4:7	6

E ჯგუფი

იუვენტუსი	6	3	2	1	11:8	11
პორტო	6	3	1	2	7:5	10
სელტიკი	6	3	0	3	8:11	9
რუსენბორგი	6	1	1	4	4:6	4

F ჯგუფი

ბარსელონა	6	5	0	1	12:5	15
ლევანტინი	6	4	0	2	10:9	12
ლიონი	6	3	0	3	10:9	9
ფენერბაჰე	6	0	0	6	3:12	0

G ჯგუფი

დემორტივო	6	2	4	0	10:8	10
მანჩესტერი	6	3	1	2	10:6	10
ლილი	6	1	3	2	7:7	6
ოლიმპიკოსი	6	1	2	3	6:12	5

H ჯგუფი

ბაიერნი	6	4	2	0	14:5	14
სპარტა	6	3	2	1	10:3	11
ფეინოორდი	6	1	2	3	7:14	5
სპარტეი	6	0	2	4	7:16	2



ჩემპიონთა ლიგა 2001-2002



A ჯგუფი

	1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 მანჩესტერ იუნაიტედი ინგლისი									
2 გოავეიგტა პორტუგალია									
3 ნანტი საფრანგეთი									
4 ბაიერნი მიუნხენი გერმანია									

I ტური. 20 ნოემბერი, 2001
ბაიერნი — მანჩესტერი
გოავეიგტა — ნანტი

II ტური. 5 დეკემბერი, 2001
მანჩესტერი — გოავეიგტა
ნანტი — ბაიერნი

III ტური. 20 თებერვალი, 2002
გოავეიგტა — ბაიერნი
ნანტი — მანჩესტერი

IV ტური. 26 თებერვალი, 2002
ბაიერნი — გოავეიგტა
მანჩესტერი — ნანტი

V ტური. 12 მარტი, 2002
მანჩესტერი — ბაიერნი
ნანტი — გოავეიგტა

VI ტური. 19 მარტი, 2002
ბაიერნი — ნანტი
გოავეიგტა — მანჩესტერი

B ჯგუფი

	1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 რომა რუმინი									
2 ლივერპული ინგლისი									
3 ბარსელონა ესპანეთი									
4 გალათასარაი სტამბოლი თურქეთი									

I ტური. 20 ნოემბერი, 2001
გალათასარაი — რომა
ლივერპული — ბარსელონა

II ტური. 5 დეკემბერი, 2001
ბარსელონა — გალათასარაი
რომა — ლივერპული

III ტური. 20 თებერვალი, 2002
ბარსელონა — რომა
ლივერპული — გალათასარაი

IV ტური. 26 თებერვალი, 2002
გალათასარაი — ლივერპული
რომა — ბარსელონა

V ტური. 12 მარტი, 2002
ბარსელონა — ლივერპული
რომა — გალათასარაი

VI ტური. 19 მარტი, 2002
გალათასარაი — ბარსელონა
ლივერპული — რომა

C ჯგუფი

	1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 ვორტუ პორტუგალია									
2 სპარტა პრაღა ჩეხეთი									
3 რეალი მადრიდი ესპანეთი									
4 პანათინაიკოსი ათენი საბერძნეთი									

I ტური. 21 ნოემბერი, 2001
პანათინაიკოსი — ვორტუ
სპარტა — რეალი

II ტური. 4 დეკემბერი, 2001
ვორტუ — სპარტა
რეალი — პანათინაიკოსი

III ტური. 19 თებერვალი, 2002
რეალი — ვორტუ
სპარტა — პანათინაიკოსი

IV ტური. 27 თებერვალი, 2002
პანათინაიკოსი — სპარტა
ვორტუ — რეალი

V ტური. 11 მარტი, 2002
ვორტუ — პანათინაიკოსი
რეალი — სპარტა

VI ტური. 20 მარტი, 2002
პანათინაიკოსი — რეალი
სპარტა — ვორტუ

D ჯგუფი

	1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 არსენალი ლონდონი ინგლისი									
2 იუვენტუსი ტურინი იტალია									
3 ბაიერი ლევერკუზენი გერმანია									
4 დეპორტივო ლაკორუნი ესპანეთი									

I ტური. 21 ნოემბერი, 2001
დეპორტივო — არსენალი
იუვენტუსი — ბაიერი

II ტური. 4 დეკემბერი, 2001
არსენალი — იუვენტუსი
ბაიერი — დეპორტივო


III ტური. 19 თებერვალი, 2002
ბაიერი — არსენალი
იუვენტუსი — დეპორტივო

IV ტური. 27 თებერვალი, 2002
არსენალი — ბაიერი
დეპორტივო — იუვენტუსი

V ტური. 11 მარტი, 2002
არსენალი — დეპორტივო
ბაიერი — იუვენტუსი

VI ტური. 20 მარტი, 2002
დეპორტივო — ბაიერი
იუვენტუსი — არსენალი

გიჟობის დასასრული



REUTERS

მიკა ჰაკინენი

დავით გულუა

„ფორმულა-1“-ში წიწილებს შემოდგომაზე თითვლიან.

ამერიკისა და იაპონიის „დიდმა პრიზებმა“ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიას მი-აბარა. იურიდიულად გა-ფორმდა მიხაელ შუმახერის მორიგი ტიტული, რომელიც პატრონს ჯერ კიდევ ოთხი რბოლის წინ ისედაც ეკუთვნოდა. ამის მიუხედავად, შუმის არ ჩაუძინია, სწორედ ბოლო რბოლა მოიგო და სეზონს ეფექტურად დაუსვა წერტილი. მეორე წერტილი დასვა მიკა ჰაკინენმა — არა სეზონის, არამედ

თავისი კარიერისა. ფინელს აღარ სურს ბოლიდებით გიჟობა, ჰყავს ცოლ-შვილი და უნდა ნამდვილი ოჯახის კაცი გახდეს. საგუნდო თვალსაზრისით წლევანდელი სეზონი ორი საჯინბოს ომი აღარ იყო, „ფერარის“ და „მაკლარენს“ „უილიამსი“ შეუერთდა და თუ-მცა მაინც მესამემ დაასრულა სეზონი, აშკარაა: მომავალ ციკლში ფავორიტი სამი იქნება.

და კვლავ შუმახერი, ვისაც წვეილი კოშკის ტრაგედია და აღექვს მანარდის ავარიამ „კარტის“ რბოლაში ცხოვრებისეული ფიქრები აღუძრა, — და დააფიქრა, ღირს თუ არა ყველაფრის რისკზე შეგდება რაღაც პრინციპისთვის, როცა დღეში მილიონი დოლარი შემოგდის და შეგიძლია არაფერზე იფიქრო. შუმახერმა გადაწყვიტა: ის „ფორმულას“ მაინც არ დატოვებს, წინ ახალი რეკორდებია...

მისხალ შამახარის ყველა შედეგი

რბოლა	91	92	93	94	95	96	97	98	99	00	01
არგენტინა	-	-	-	-	3	8	8	1	-	-	-
ავსტრალია	8	2	8	8	8	8	2	8	8	1	10
ავსტრია	-	-	-	-	-	-	6	3	-	8	6
ბელგია	8	1	2	8	1	1	1	8	-	2	10
ბრაზილია	-	3	3	1	1	3	5	3	2	1	6
ბრიტანეთი	-	4	2	8	8	8	1	8	3	6	6
ჩანადა	-	2	2	1	5	8	1	1	8	1	6
ფრანკია	-	-	8	1	1	2	8	-	-	1	10
საფრანგეთი	-	8	3	1	1	8	1	1	5	8	10
გერმანია	-	3	2	8	1	4	2	5	-	8	8
უნგრეთი	-	8	8	1	11	9	4	1	-	2	10
იტალია	5	3	8	-	8	1	6	1	-	1	3
იაპონია	8	8	8	2	1	2	1	8	2	1	10
ლუქსემბურგი	-	-	-	-	-	-	8	2	-	-	-
მალაიზია	-	-	-	-	-	-	-	-	2	1	10
მექსიკა	-	3	-	-	-	-	-	-	-	-	-
მხ. ოჩიანა	-	-	-	1	1	-	-	-	-	-	-
პორტუგალია	6	7	1	-	2	3	-	-	-	-	-
სან მარინო	-	8	2	1	8	2	2	2	1	1	8
სამხ. აფრია	-	4	8	-	-	-	-	-	-	-	-
ესპანეთი	6	2	3	2	1	1	4	3	3	5	10
აშშ	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	6
მონაკო	-	4	8	1	1	8	1	10	1	8	10

შენიშვნა: 8 - გამოთივა, 8 - დისკვალიფიკაცია





